სალომე ქოქიაშვილი

„სამოხელეო დანაშაულთა კრიმინოლოგიური ანალიზი“

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2019 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საავტორო უფლება © 2019 წელი, [სალომე ქოქიაშვილი]

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი **სალომე ქოქიაშვილის** მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**სამოხელეო დანაშაულთა კრიმინოლოგიური ანალიზი**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

თარიღი

რეზიუმე

ლიტერატურის კვლევის შედეგად დასტურდება, რომ სამოხელე დანაშაულების მიმართ არსებული პრაქტიკა არ არის სრულყოფილი და მაღალგანვითარებული. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იკვლევს აღნიშნულ საკითხს. ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული კვლევის შედეგები. 2007 წლის კვლევამ აჩვენა და არსებობს მოსაზრება, რომ თეთრსაყელოიანი დამნაშავეები კატეგორიზდებიან ან ლიდერებად ან მიმდევრებად. ეს დაფუძნებულია 2 ფაქტორზე: დანაშაულებრივი ქცევა და ბრალდებულის კრიმინალური წარსული. კატეგორიზაციის მთავარი კრიტერიუმია ვინ არის დანაშაულის ინიციტორი და ვინ მონაწილეობს მასში.

სამოხელეო დანაშაულები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ჩვენს ირგვლივ. საკითხის აქტუალობა მოითხოვს მის დახვეწას როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, უპირველესად გამოყენებული იქნება საკანონდებლო აქტები, ცალკეული ნორმები და მათი მიმოხილვა დოქტრინაში. მათი ხარვეზით წარმოქმნილი პრობლემები პრაქტიკაში. საინტერესოა, თუ როგორ განმარტავენ ამ დანაშაულთა სახეებს ლიტერატურაში და როგორი მიდგომები არსებობს სასამართლო პრაქტიკაში.

Resume

As a result of the research of literature, it is confirmed that the practice of civil crimes is not perfect and highly developed. Several NGOs examine this issue. The study will examine the results of the survey. The 2007 study showed that there are allegations that white collor crimes are categorized as leaders or followers. This is based on 2 factors: criminal behavior and the criminal past of the defendant. The main criterion of categorization is who is the initiator of the crime and who is involved in it.

Civil offenses are becoming more and more active around us. The importance of the issue requires its refinement at both legislative and practical terms. When working on a master's thesis, the legislative acts, individual norms and their review in the doctrine will be applied firstly. Problems arising from their shortcomings in practice. It is interesting how to explain the types of crimes in literature and what approaches there are in court practice.

შინაარსი

შესავალი 5

1. სამოხელეო დანაშაულის ძირითადი სამართლებრივი ფორმები 7

1.1 ცნება და სახეები 10

1.2 სამოხელეო დანაშაულის გარშემო არსებული თეორიები 13

1.4 სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ურთიერთგამიჯვნა 16

2. სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი 23

2.1 სპეციალური ამსრულებლის მახასიათებლები 28

2.2 „მიმდევრების“ პიროვნული მახასიათებლები 30

3. სამოხელეო დანაშაულთა ჩადენის ხერხები და მოტივები 32

3.1 თაღლითობა, როგორც სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხი 36

3.2 დანაშაულის ჩადენა ანგარებითი მოტივით 42

3.3 “ლურჯსაყელოიანთა დანაშაული“ , როგორც მონათესავე კრიმინალური ქმედება44

4. ლატენტურ დანაშაულთა სიმრავლე და გამოვლენის მექანიზმები 47

4.1. დანაშულის პრევენციის გზები 52

4.2 ადგილობივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციები 55

დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია ..... **Error! Bookmark not defined.**

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!“[1]

შესავალი

მე-XX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული დღემდე, გლობალიზაცია ერების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში იჭრება. ჩნდება წინააღმდეგობრივი პროცესები, რომელთა გადალახვა არცერთ სახელმწიფოს ძალუძს. ვითარდება დანაშაულობათა ახალი ფორმები, დანაშაული იძენს გლობალურ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ ხასიათს.განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი საინტერესო ფორმა, რომელსაც „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“ ეწოდება. [2] ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალურობით ხასიათდება და ხშირად გავიგონებთ საზოგადოებრივ თუ მედიასივრცეში ისეთ სამოხელეო დანაშაულთა შესახებ, როგორებიცაა: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება. არანაკლები აქტუალურობით ხასიათდება ქრთამის აღება-მიცემის პრეცენდენტები.

თუკი სტატისტიკას დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ სამოხელეო დანაშაული სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და განიხილება როგორც ბიზნესის ფორმა. ამ პრობლემას პირველად გაერომ მიაქცია ყურადღება 1975 წლის ჟენევის კონგრესზე, სადაც აღიარებულ იქნა, რომ დანაშაულობა საერთაშორისო ბიზნესის ფორმით უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედებების ტრადიციული ფორმები. თეთრსაყელოიანთა დანაშაულის მიზეზები ისევ და ისევ ქვეყნის შიგნით უნდა ვეძიოთ, საჭიროა ვაღიაროთ, რომ სუსტი ეკონომიკა და სუსტი კანონი - ეს ის ორი ფაქტორია, რომელიც მოცემული დანაშაულობის ხელშემწყობად შეიძლება მოგვევლინოს, შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს „სამართლიანი“ სამართალი და მყარი, თავისუფალი, მაგრამ კონტროლირებადი ეკონომიკა, ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.[3]

ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს სამოხელეო დანაშაულთა თავისეურებანი, მისი განვითარების ფორმები, ძირითადი გამომწვევი მიზეზები, დანაშაულის ჩადენის

---

[1] დალბერგ, ე. ლ. (2008). ენციკლოპედიური ლექსიკონი. საქართველო: national parliamentary library of georgia. http://www.nplg.gov.ge/eng/home ბოლოს გამოხმობილია 06/06/2019

[2] იაკობიშვილი, მ. თეთრსაყელოიანთა დანაშაული.2015 წ; *intermedia.ge*. ბოლოს გამოხმობილია 30.04.2019

[3] იხ.იქვე.

ხერხები და მოტივები. ასევე, აღწეროს ლატენტურ დანაშაულთა შემთხვევები, რომელთა რეგისტრირება ხშირად პოლიციის განყოფილებაში ვერ ხერხდება და მათი ყურადღების მიღმა რჩება. ასევე, გაანალიზოს კრიმინოგენური ვითარება ამ კუთხით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებაში.

კვლევა დაეფუძნება რა ადგილობრივ და საერთაშორისო ლიტერატურას. გამოყენებული იქნება დესკრიფციული, ისტორიულ-გენეტიკური, ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები. განხილული იქნება როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებანი.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის 4 თავისა და 11 ქვეთავისგან, რომელთაგან პირველი თავი ეთმობა სამოხელეო დანაშაულის ძირითადი სამართლებრივი ფორმები, მეორე თავში საუბარი იქნება სამოხელეო დანაშაულის ჩამდენ სუბიექტებზე - სპეციალურ ამსრულებელზე, რომელიც განსაუთრებულად საინტერესოს ხდის ამ დანაშაულის შემადგენლობას. მესამე თავში განხილული იქნება დანაშაულის ჩადენის ხერხები და მოტივები. მომდევნო, მეოთხე თავში საუბარი იქნება ლატენტურ დანაშაულთა სიმრავლეზე, გამოვლენის მექანიზმებზე, აქვე საუბარი იქნება მათი პრევენციის გზებზე, ხოლო ნაშრომის ბოლოს, მიმოხილული იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

1. სამოხელეო დანაშაულის ძირითადი სამართლებრივი ფორმები

სამოხელეო დანაშაულთა პრობლემას პირველად გაერომ მიაქცია ყურადღება 1975 წლის ჟენევის კონგრესზე, სადაც აღიარებულ იქნა, რომ დანაშაულობა საერთაშორისო ბიზნესის ფორმით უფრო საერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედებების ტრადიციული ფორმები.[4] სამოხელეო დანაშაულები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ჩვენს ირგვლივ. საკითხის აქტუალობა მოითხოვს მის დახვეწას როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საკვლევი თემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას სპეციალური ამსრულებელი ჰყავს და სწორედ მისი სამსახურებრივი პრივილეგიითა განპირობებული დანაშაულის ჩადენა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შემდეგ შემადგენლობებს: მუხლი 332. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; მუხლი 333. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; მუხლი 334. ბრალდებულის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უკანონო გათავისუფლება; მუხლი 335. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება; მუხლი 337. სამეწარეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა; მუხლი 338. ქრთამის აღება; მუხლი 339. ქრთამის მიცემა; მუხლი 339[1] ზეგავლენით ვაჭრობა; მუხლი 340 კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება; მუხლი 341. სამსახურებრივი სიყალბე; მუხლი 342. სამსახურებრივი გულგრილობა; მუხლი 342[1]. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურია ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა.[5] ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების უკან გარკვეული ტიპის ცოდნა და ძალაუფლება დგას. სხვანაირად ამ დანაშაულის ჩამდენს „ინტელექტუალი დამნაშავე“ შეგვიძლია ვუწოდოთ. დიდხნიანი სამუშაო გამოცდილება ამ უკანასკენს აძლევს საშუალებას განახორციელოს ქმედება იმგვარად, რომ არავის გაუჩნდეს უკანონობის შეგრძნება და საკმაოდ გვიან გახდეს ცნობილი ან საერთოდ გაურკვეველი დარჩეს საზოგადოებისთვის. ძირითადი მოტივი მაინც ანგარებაა, გამძაფრებული სურვილი თანამშრომლისა მიიღოს მეტი შემოსავალი ვიდრე აქვს. სურვილი იმდენად დიდია, რომ ყველა საშუალება

[4] იაკობიშვილი, მ, თეთრსაყელოიანთა დანაშაული. 2015 წ. *intermedia.ge*.ბოლოს გამოხმობილია 30.04.2019

[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი .2018 წლის მდგომარეობით

გამართლებულად გამოიყურება, მათ შორის დანაშაულის ჩადენა. საინტერესოა როგორ იქცევა სამართალდამცავი ორგანო საქმის კვალიფიკაციის დროს. სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით როგორც ცალკე თავს სამოხელეო დანაშაულთა, ასევე გვაქვს დამამძიმებელი გარემოების სახით ჩადებულია სხვადასხვა მუხლებში - „სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით“. ერთ-ერთ საინტერესო პრეცენდენტს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება[6], აღნიშული გადაწყვეტილება შეეხება სსკს-ის 182-ე მუხლსა და 194-ე მუხლებს, კერძოდ მითვისება გაფლანგვასა და ფულის გათეთრებას. მითვისება გაფლანგვის ნაწილში დამამძიმებელ გარემოებად გვხვდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. დანაშაულის ამსრულებელია ერთ-ერთი შპს-ს ფინანსური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში შედიოდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა, კომპანიის მიერ განხორციელებული ხარჯების დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაციის მიღება და ანგარიშსწორება.როგორც მთავარ ბუღალტერს ჰქონდა ორგანიზაციის გახსნილ ყველა ანგარიშზე ინტერნეტ ბანკით სარგებლობის სრული უფლება, მათ შორის ისეთ ანგარიშზე, რომელზეც პერიოდულად ირიცხებოდა სხვადასხვა თანხა. დამნაშავემ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განიზრახა შპს-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისება. დანაშაულებრივი განზრახვა გაანდო მეუღლესა და ამავე კომპანიაში მომუშავე თანაშრომელს, რომელსაც კომპანიის ფულადი სახსრებისა და საკრედიტო რესურსების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. ჩამოაყალიბა ორგანიზაციული ჯგუფი, გეგმის შესაბამისად შეთანხმდენენ რომ თანხის მისათვისებლად სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებდნენ როგორც პირად ანგარიშებს, ისე მესამე პირებზე დარეგისტრირებული ორგანიზაციებისა და მისსავე სახელზე დარეგისტრირებული ფირმის ანგარიშებს. ამ გეგმის მიხედვით უკანონოდ გახსნილ ანგარიშებზე გადაირიცხებოდა დიდი ოდენობით თანხები, რასაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მიითვისებდნენ. ამ გეგმის საშუალებით დანაშაულის ჩამდენი შეძლებდა ეკონტროლებინა, რომ უკანონოდ გადარიცხული თანხების ამსახველი საბანკო ამონაწერები არ მოხვედრილიყო სხვა ბუღალტრების ხელში და ჯგუფის დანაშაულებრივი გეგმა არ გამჟღავნებულიყო კომპანიაში. სწორია, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია არ მოხდა სამოხელეო დანაშაულთა თავიდან გათვალისწინებული რომელიმე მუხლით, ვინაიდან არცერთი მათგანი არ მოიცავს იმ კერძო შემადგენლობას რომელიც მითვისებას გულისხმობს.

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება; საქმე N492აპ-18

რომ გვემსჯელა სამსახურებრივი უფლების ბოროტად გამოყენების კუთხით, ცალსახად ჩიხში შევიდოდით და ვნახავდით რომ დამნაშავის ცალკეული ქმედებები განუხილველი და შესაბამისად დაუსჯელი დაგვრჩებოდა. ამდენად, კანონმდებლის დადებით მხარედ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ კერძო შინაარსის მუხლებში დამამძიმებელი გარემოებად გვხვდება ისეთი შემთხვევები როგორიცაა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც ასევე ცალკე თავშია გამოტანილი და გარკვეულ შემადგენლობებს ითვალისწინებს. ასეთივე შემთხვევას წარმოადგენს კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულები. რა თქმა უნდა, იგი სრულყოფილად ვერ ამოწურავს ყოველ ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობას, ამიტომ კანონმდებლის წარმატებულ ნაბიჯად უნდა მოვიზროთ მისი სხვადასხვა მუხლებში ინტეგრირება, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

სამოხელეო დანაშაულთა შორის ცალკეა გამოყოფილი არასათანადო კანდიდატის მიღება საჯარო სამსახურში ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსით. ნორმა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით-„საჯარო მოხელე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს აცნობიერებს რა ქმედების არაკანონიერებას, სთავაზობს, ნიშნავს ან მხარს უჭერს სპეციფიკურ საჯარო თანამდებობებზე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამდებობის დასაკავებლად კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ისჯება ჯარიმით ან 6 თვიდან 2 წლამდე საჯარო სამსახურში მუშაობის აკრძალვით. [7]

დღევანდელ რეალობაში გაიზარდაიმ დანაშაულების რიცხვითი მაჩვენებელი, რომელიც საქართველოშ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს უკავშირდება. 2018 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, სამოხელეო დანაშაულს 516 ფაქტი დაფიქსირდა ანუ გაზრდილია იმ შემთხვევების სტატისტიკა, როდესაც თანამდებობის პირები საკუთარ უფლებამოსილებას აჭარბებენ, მას ბოროტად იყენებენ, არის სამსახურეობრივი გულგრილობა, სიყალბე, ქრთამის აღება და სხვა მსგავსი ფაქტები.[8]

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება ჩადენილ იქნეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. მოხელე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. კერძოდ, მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების

[7] სსკ, კარიXIX საჯაროადმინისტრირებისწინააღმდეგმიმართულიდანაშაულები, თავიI საჯარო მოხელისმიერკანონიერებისდარღვევადასხვაუკანონოქმედებისჩადენა, მუხ. 405

[8] http://qronikaplus.ge/?p=17194 ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

საშტატო თანამდებობაზე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, ასევე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლისა, თუ თავდაცვის ორგანოებში. საჯარო სამსახურში მომუშავე დამხმარე მოსამსახურე, მაგალითად პირი, რომელიც შრომის ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე, ამ დანაშაულის ჩამდენი ვერ იქნება.[9]

მოხელესთან გათანაბრებულად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელიც დანიშვით ან შრომის ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში დროებითი ამოცანების შესასრულებლად და აღნიშნული ვადის განმავლობაში ასრულებს მოხელის ფუნქციებს. ასევე, მოხელესთან გათანაბრებულად მიიჩნევა პირი, რომელიც დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს. მხოლოდ მოხელის ფუქნციის ფაქტობრივი შესრულება არ არის საკმარისი, რომ პირი მიჩნეულ იქნას მოხელესთან გათანაბრებულად, ამასთანავე აუცილებელია სამართლებრივი საფუძველიც - სათანადო იურიდიული გაფორმება.[10]

1.1 ცნება და სახეები

სამოხელეო დანაშაულის ყველაზე ცნობილი დეფინიციის ავტორია ედვინ საზერლენდი, რომელმაც მას 1939 წელს „თეთრსაყელოიანთა დანაშაული"უწოდა.[11] მას ამით სურდა საზოგადოების ყურადღება იმ ფაქტზე გაემახვილებინა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებს საშუალო და ზედა ფენის წარმომადგენლებიც სჩადიან. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს გაბედული დეფინიცია, ერთის მხრივ, ძალიან ვიწროა, ვინაიდან იგი მხოლოდ ქმედების ჩამდენზე ფოკუსირდება , ხოლო მეორეს მხრივ, ცნება ძალიან ფართოა, რადგან ის ყოველ დასჯად ქმედებას მოიცავს, ასევე იმ ქმედებებს, რომლებიც არ არიან ეკონომიკური ხასიათის. ამ დეფინიციას შემდგომი განვითარება არ განუცდია. ეს ეხება როგორც **„occupational crimes"-ს,** ასევე – **„corporate crimes"-ს.**[12] პირველ შემთხვევაში პროფესიის განხორციელების დროს ჩადენილი ყველა სისხლისამართლებრივი ქმედების ჩართვა ძალიან შორს მიდის, მეორე შემთხვევაში კი მოცულია მხოლოდ ის დანაშაულები, რომელთა ჩადენა საწარმოთა

[9] http://freeuni.edu.ge/sites/default/files/samsaxurebrivi%20uflebamosilebis%20borotad%20gamokeneba.pdf ბოლოს გამოხმობილია 15.06.2019

[10] იხ. იქვე.

[11] *Sutherland, Edwin. H.,* American Sociological Review 5 (1940), S. 1 (9)

[12] ზოგადი მიმოხილვა *Wittig, Petra*, Wirtschaftsstrafrecht, 3.Aufl. 2014, § 2 Rn. 12 ff. m.w.N.

ინტერესიდან გამომდინარე ხდება.[13] საინტერესოა, ცნების პროცესუალური განსაზღვრება. მართალია, გერმანელ კანონმდებელს "ეკონო-მიკური სისხლის სამართლის" დეფინიცია არ მოუცია, მაგრამ განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც მიწის სასამართლოს განსჯადობის ქვეშ არიან, ეკონომიკური სისხლის სამართლის პალატას დაუქვემდებარა. სასამართლოების შესახებ გერმანული კანონის §74c-ს პირველი აბზაცის პირველი წინადადების ნომერი ერთიდან ოთხამდე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულთა მოცულობით ჩამონათვალს ეკონომიკური სამართლის შესახებ კანონის მიხედვით და ასევე, სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე რამდენიმე დანაშაულს. მასთან, ამავე კანონის §74c-ს პირველი აბზაცის პირველი წინადადების Nr. 6a და 6b ჩამოთვლიან იმ დანაშაულებს, რომლებიც შესაძლოა გადაეცეთ ეკონომიკური სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, თუ „კონკრეტული შემთხვევის განხილვისთვის ეკონომიკის სპეციალური ცოდნა მოითხოვება." [14]ამის უკან დგას ის მოსაზრება, რომ ეკონომიკური დანაშაულები განსაკუთრებით რთულად განსახილველ დელიქტთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა შეფასებისთვის განსაკუთრებული ადამიანური, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსია საჭირო.[15] აღნიშნულის მიუხედავად, ეს დეფინიცია ხარვეზიანია, ვინაიდან ის დანაშაულები, რომელებიც კატალოგში მოხსენიებული არ არის და ის ქმედებები, რომლებიც, მართალია, აღნიშნულია Nr. 6a და 6b-ში (მაგალითად, მითვისება), მაგრამ, მხოლოდ „დაკონსერვებულია", დეფინიციით მოცული არ არის.[16] თეთრასაყელოიანთა დანაშაულები უმეტესწილად ფინანსური მოტივებით აიხსნება. თანამედროვე კრიმინოლოგიაში რამდენიმე სახე გამოიყოფა დანაშაული ხასიათის მიხედვით. 1) **შევიწროვების/ძალადობის ფორმით.** მაგალითად რომ ავიღოთ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული/ეკონომიკური დანაშაული, საკორპორაციო დანაშაული, გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ან სხვა დანაშაულთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ დამნაშავის იდენტიფიცირების შედეგად. აქვე, რომ გავნიხილოთ ტრანსნაცონალური ფულის გათეთრება, იგი შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მაღალი თანამდებობის მქონე

[13] ეკონომუკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტის გამოცემა, გვ.2

[14] იხ. იქვე.

[15] შეად. *Waßmer, Martin Paul*, in: Graf/Jäger/Wittig (Hrsg.),Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2. Aufl. 2017, § 266 StGB Rn. 4

[16] ეკონომუკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტის გამოცემა, გვ.3

ბანკში დასაქმებული პირის მიერ.[17] FBI მომიჯნავე ახლო დარგად ასახელებს ზოგიერთ თეთრაყელოიან დანაშაულს. არავერბალური ქმედება, რომელიც ხასიათდება სიცრუით, დაფარვით, პირობის დარღვევით არ არის დამოკიდებული რაიმე სხვა ფიზიკურ ძალაზე ან ძალადობაზე. თეთრსაყელოიანთა დანაშაულების რეალური მასშტაბები ჯერ კიდევ არა არის ცნობილი. 2) **კრიმინალური მაფია.** მაღალი აკადემიური წრე, პროფესურა, რომელიც ჩადენილ დანაშაულს ნიღბავს თავისი სოციალური სტატუსით. 3) **ორგანიზებული დანაშაული.** Appelbaum და Chambliss გვთავაზობენ ორი სახის განმარტებას, პირველი, დანაშაული, რომელიც გამოწვეულია პერსონალური ინტერესებით. ისინი შეიძლება გამოვლინდეს მომხმარებელთან სერვირების დროს, როცა სერვისის მიწოდების დროს ხდება მისი მოტყუების საშუალებით გაბრიყვება. მეორე, ესაა კომერციული დანაშაული, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ფასის შენარჩუნებით გარკვეულ დონეზე. როგორც წესი, ის რეალურ საბაზრო კონიუქტურას არ ემთხვევა, ხდება რა ფასების ხელოვნური მატება, ცრუ რეკლამირება.

საინტერესოა ჩინეთის მაგალითის განხილვა, სადაც სასჯელი ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური არაა. მათ შორის არსებობს სიკვდილით დასჯის პრეცენდენტები. ხშირია ფინანსური დანაშაულები, სულ უფრო იზრდება ინეტერესი ამ სახის საქმეთა მიმართ. ჩინეთში სამოხელეო დანაშულის ჩამდენნი ისჯებიან ისევე, როგორ მკვლელობის ჩამდენნი. მათ მიმართ უმაღლესი სასჯელის ფორმაა გამოყენებული - სიკვდილით დასჯა.

ევროპის ქვეყნებიდან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, გერმანიის, ესტონეთის, ისლანდიის, ლატვიის, ლიტვის, მალტის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, საფრანგეთი, სლოვენიის, სერბეთის, ფინეთის, შვედეთის, უნგრეთის, ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად, სამოხელეო დანაშაულთა შორის ცალკე დასჯად ქმედებად არ არის გამოყოფილი კონკრეტული პირის საჯარო სამსახურში მიღებისას მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით კანონით დადგენილი კონკურსის წესების განზრახ დარღვევა ან შერჩევის კრიტერიუმების მორგება, ასევე სხვადასხვა ქმედებების ჩადენა სხვა კანდიდატისათვის ხელის შეშლის მიზნით. აღნიშნული ქმედება თავსდება თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფარგლებში.[18]

---

[17] Fisher, K. *The Psychology of Fraud: what motivates Fraudsters to commit crime?* Texas woman's university. 2015

[18] http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes; ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32417/samoxeleo_danaSauli_qart_int ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

1.2 სამოხელეო დანაშაულის გარშემო არსებული თეორიები

სამოხელეო დანაშაულების ირგვლივ ბოლო რამდენიმე ათწლეულია განვითარდა სხვადასხვა თეორიები, მათგან გამორჩეული ადგილი უჭირავს ისეთებს, როგორებიცაა: **დიფერენციალური ასოციაციის თეორია[19], მორალური თეორია, ნეიტრალიზაციის თეორია ე.წ თანამედროვე თეორია.** დამნაშავის ქცევის ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თეორიად მიიჩნევა **დიფერენციალური ასოციაციის თეორია,** რომელიც 1930 წელს ედვინ საზერლენდმა [20] განავითარა. თეორია განმარტავს, თუ რა უბიძგებს პიროვნებას ჩაიდინოს დანაშაული. აღნიშნული თეორიის მტკიცებით, კრიმინალური ქცევა არაა თანდაყოლილი, არამედ ის ისწავლება სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან ინტერაქციით.[21] საზერლენდი ამტკიცებს, რომ სწავლება ხდება ჯგუფებს შიგნით, რომლებიც დაშორებულნი არიან გარე ჯგუფებთან კომუნიკაციასა და განვითარების ინდუსტრიას.[22] თეორია ირწმუნება, რომ კრიმინალური ქცევის შესწავლადია. სწავლას ექვემდებარება ტექნიკა, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად. ყოველი ქცევა განპირობებულია გარკვეული მოტივით, რაც რაციონალურად აკავშირებს კრიმინალთან.

კრიმინოლოგიაში, დიფერენციალური გაერთიანება არის ედვინ საზერლენდის მიერ შემუშავებული თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანები ურთიერთთანამშრომლობის შედეგად სწავლობენ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, მეთოდებს და კრიმინალური ქმედებების მოტივებს. დიფერენციალური ასოციაციის თეორია ყველაზე ხშირად საუბრობდა სწავლების თეორიებზე. ეს თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ხდებიან ადამიანები კრიმინალური ქცევის მატარებლები. სწავლის თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთქმედების პერსპექტივაზე; თუმცა არ არის გათვალისწინებული, რადგან ინტერაქციონიზმი ფოკუსირებულია საზოგადოების საზღვრების მშენებლობისა და აღქმაზე. სწავლის თეორია პოზიტივიზმის მიდგომად

---

[19] Fisher, K. (2015). *The Psychology of Fraud: what motivates Fraudsters to commit crime?* Texas woman's university.

[20] https://en.wikipedia.org/wiki/Edwin_Sutherland ბოლოს გამოხმობილია 10.05.2019

[21] Burgess, Robert & Akers, Ronald L. (1966). "A Differential Association-Reinforcement Theory of Criminal Behavior." Social Problems, 14: p. 363-383.

[22] https://criminology.fandom.com/wiki/Differential_Association_Theory ბოლოს გამოხმობილია 10.05.2019

ითვლება, რადგან ის კონკრეტულ აქტებზეა ფოკუსირებული, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალურ შთაბეჭდილებებს. ადამიანები სწავლობენ დანაშაულებრივ ქმედებებს, მოტივებს, მართვას, რაციონალიზაციას და დამოკიდებულებას. მათი შთაგონება არის კულტურული გადაცემის და მშენებლობის პროცესები. საზერლენდმა შეიმუშავა "თვით" იდეა, როგორც სოციალური მშენებლობა.

საერთო ჯამში დიფერენციალური ასოციაციის თეორიის პრინციპია ინდივიდი ჩართოს კრიმინალურ ქმედებაში. მიიღოს ჯილდო ჯერ სამართლის ნორმების დაცვისათვის, შემდეგ დაჯილდოვდეს კანონის დარღვევისთვის, რომლის ჯილდო აღემატება წინანდელ ქმედებას. თეორია წარმოუდგენლად დიდ როლს თამაშობს კრიმინოლოგიის დარგში. იყო დრო, სანამ იგი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწევდა, ბევრი დარგის სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ კრიმინალური ქცევა არის მემკვიდრეობით მიღებული და არა შესწავლილი. გარდა ამისა, თეორიის განვითარებით ედვინ საზერლენდმა აჩვენა დამნაშავის თაღლითური ქცევის მიმართ დიდ ინტერესი, ასევე გამოიგონა ტერმინი „ თეთრსაყელოიანთა დანაშაული“. [23]

მორალური თეორიის ავტორია ნიუჯერსში რატგერსის სამართლის სკოლის დოქტორი **სტუარტ ფი გრინი[24].** მისი ცნობილი წიგნია - „მოტყუება, თაღლითობა და ქურდობა: თეთრსაყელოიან დამნაშავეთა მორალური თეორია“. [25] აღნიშნული ნაშრომი დიდი ტირაჟით გამოიცა ოქსფორდის საბეჭდი ცენტრის მიერ 2006 წელს.[26] 2008 წელს მიიღო არაერთი ჯილდო, მათ შორის, „თეთრაყელოიანთა დანაშაულის კვლევის ცენტრის“ მიერ გაცემული პრიზი. ითარგმნა არაერთ ენაზე. მისი თანარედაქტორია ენტონი დაფი. აღნიშნულ თეორიას აქვს არაერთი გამოხმაურება, სამართლის თეორიაში ჰყავს როგორც მომხრეები, ისე კრიტიკოსები. გრინი გვთავაზობს აბსტრაქტულ და მორალურ ანალიზს თაღლითობის, სიცრუის, ქურდობის, იძულების, ექსპლუატაციის, ღალატის, დანაპირების არშესრულების,ცრუმოწმეობის, მექრთამეობისა და შანტაჟისა. გრინი საინტერესო ანალიზს გვთავაზობს როგორც მორალურ ფილოსოფიაში, ისე სამართლის თეორიაში. გრინი განსაზღვრავს თაღლითობას, როგორც „კომუნიკაცია სატელეფონო შეტყობინების საშუალებით კომუნიკატორის დახმარებით, განზრახვა შეცდომაში შეყვანისა...განზრახვა იმისა, რომ პიროვნებამ დაიჯეროს ისეთი რამ, რაც

[23] Fisher, K. (2015). *The Psychology of Fraud: what motivates Fraudsters to commit crime?* Texas woman's university

[24] Stuart P. Green

[25] https://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199225804.001.0001/acprof-9780199225804 ბოლოს გამოხმობილია 19.05.2019

[26] იქვე.

არ არის სიმართლე". თაღლითობას არ სჭირდება გაეხვიო მცდარ ფორმულირებაში. არავერბალური ქცევა (მაგ: ჩაალაგო ჩემოდანი იმ მოტივით, რომ დააჯერო სხვა, თითქოს ქალაქიდან მიემგზავრები) შეუძლია ამომრჩეველი მოატყუოს. გრინი ამტკიცებს, რომ თაღლითობა შედგება პატარ-პატარა ტყუილებისგან, შეიცავს მონათესავე კატეგორიების ქცევებს, რომლებიც, როგორც წესი, ქმნიან ერთ დიდ დანაშაულს. ტერმინი ეყრდნობა საერთაშორისო აზრს, რომელიც მომდინარეობს შემოწმებადი მტკიცებიდან და არის დანამდვილებით მცდარი. ნაშრომი საინტერესო კვლევებს ეფუძნება, კარგად არგუმენტირებულია, გრინის იდეის ანალიზი სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული.[27]

ნეიტრალიზაციის თეორია ე.წ თანამედროვე თეორია 1950 წელს განავითარეს ამერიკელმა კრიმინოლოგებმა **დევიდ ქრესეიმ, გრეშამ საიქსმა** და **დევიდ მატზამ.** დამნაშავე განასახირეს როგორც ინდივიდი, რომელიც ზოგადად ხასიათდება მორალური თვისებებით, მაგრამ მას ასევე შეუძლია განსაჯოს საკუთარი საქციელი „ნეიტრალიზაციის" პროცესის ჭრილში.

კონტროლის თეორია ხაზს უსვამს კავშირს დამნაშავესა და მის სოციალურ ჯგუფს - საზოგადოებათან კავშირს.

გამოიყოფა ნეიტრალიზაციის 5 ძირითადი მეთოდი:

1. უარი პასუხისმგებლობაზე- ამბობს რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა ან სიტუაცია მის კონტროლს მიღმა იყო;
2. დაზიანების უარყოფა - აცხადებს, რომ მისი ამ ქმედებით არავინ დაშავებულა;
3. მსხვერპლის უარყოფა - აცხადებს რომ რაც მოხდა მსხვერპლმა თავის თავს დამართა ან იმსახურებდა;
4. სასჯელის უარყოფა - ამტკიცებს, რომ პროკურორები არ მოიქცნენ ეთიკურად;
5. გამართლება უფრო მაღალმატერიალური პრინციპებით - ამბობს, რომ ეს ქმედება შეესაბამება მაღალ პრინციპებს მაგ. ერთგულებას.

M.I.C.E - **თანამედროვე თეორია**[28] შემუშავებულია **Jason Thomas**-ის მიერ, რომლის მიხედვით ფული, იდეოლოგია, იძულება და ეგო არის 4 ძირითადი მოტივი დანაშაულის ჩადენისა.

---

[27] Carson, T. (2007). *Business Ethics Quarterly, 17*(2), 365-365. Retrieved from http://www.jstor.org/stable/27673179 ბოლოს გამოხმობილია 26.05.2019

[28] The Psychology of Fraud: What Motivates Fraudsters to Commit Crime? Kelly Fisher This paper is submitted in partial fulfillment of the requirements for BUS 5903.70 Forensic Accounting Texas Woman's University Graduate School of Management Dr. John Nugent, LLM, CPA, CFE, CISM, FCPA Spring 2015

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის განვრცობილი მოდელი თაღლითობის სამკუთხედის თეორიისა, სადაც ეგო განიხილება როგორც, გრძნობების, ემოციებისა და უფლებების თავმოყრა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ზეწოლის კონცეფციასთან.

1.4 სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ურთიერთგამიჯვნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირად განმარტავს დანაშაულის შინაარსს: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესეის არსებითი დარღვევა გამოიწვია. როგორც ვხედავთ, ეს არის მოქმედებით ჩადენილი, განზრახი დანაშაული, რომელიც დასრულებულად ითვლება კონკეტული ქმედების ჩადენის შემდეგ, რითაც გადამეტებული იქნება მისთვის დაკისრებული სამსახურეობრივი უფლებამოსილება. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას მოხელეს თავის ქმედებას ახორციელებს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში და, შესაბამისად, მის მიერ დაკავებული თანამდებობის საფუძველზე, მისი უფლებამოვალეობების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები და მისი განხორციელების წესი განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით, მაგალითად, კანონით, ზემდგომი თანამდებობის პირის ბრძანებით, წესდებით, დებულებით ან სხვა აქტით. საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მოხელე მოქმედებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ მისი ქმედება ეწინააღმდეგება საჯარო (სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამსახურებრივ) ინტერესებს. ამასთან, იგი ასეთ ქმედებას უნდა ახორციელებდეს თავისთვის ან სხვისთვის (ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი და ა.შ.) რაიმე გამორჩენის (მატერიალური სიკეთის) ან უკანონო უპირატესობის მიღების მიზნით, რითაც ის არსებითად არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებას ან საზოგადოების ან სახელმწიფოს

კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მის ქმედებასა და დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს - დარღვეულ ინტერესებს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული არ არის სახეზე, თუ მოხელის ქმედება არ არის დაკავშირებული მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ანდა მის ქმედებას არ მოჰყოლია ზემოაღნიშნული ინტერესების დარღვევა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოხელე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას არ არღვევს თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, არამედ მოქმედებს მის ფარგლებში. აღნიშნული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ, ისე პასიურ ქმედებაში, ანუ მართლსაწიმააღმდეგო მოქმედებაში ან უმოქმედობაში. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მართლსაწინააღმდეგო შედეგი გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესებისათვის ან საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის ფაქტობრივ მიყენებას. ამასთან, აუცილებელია, რომ ზიანი იყოს არსებითი, რაც სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს. [29] საინტერესოა, თუ როგორ მოქმედებს ნორმა პრაქტიკაში და როგორ ასაბუთებს მოსამართლე გადაწყვეტილებას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. განვიხილოთ ერთ-ერთი პრეცენდენტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი[30], რომელიც სწორედ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ეხება. დანაშაული ჩადენილია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მომუშავე პირის მიერ. რაც უკვე იმაზე მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს სამოხელეო დანაშაულთან. ამსრულებელი სპეციალური პირია. შინაარსობრივად განვიხილოთ, თუ კერძოდ რაში გამოიხატა დასაქმებული პირის დანაშაულებრივი ქმედება. მოხელესა და ინდივიდუალურ მეწარმეს შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვით სამშენებლო მასალების შეძენასთან დაკავშირებით. მომსახურების საერთო ღირებულება 8726 ლარს წარმადგენდა. ინდივიდუალურმა მეწარმემ დადგენილ ვადაში დაპირებული მასალებით უზრუნველყოფა ვერ მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ მოხელისთვის აღნიშნული ფაქტი ცნობილი იყო, გამოიყენა რა უფლებამოსილება ბოროტად და უპირატესობა ახლობელს მიანიჭა, წააქეზა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, უკანონოდ დაავალა ხელი მოეწერა მიღება-

[29] http://freeuni.edu.ge/sites/default/files/samsaxurebrivi%20uflebamosilebis%20borotad%20gamokeneba.pdf ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

[30] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი; საქმე N 1/2403-17

ჩაბარების აქტისთვის, რომლითაც რეალურად სამშენებლო მასალები არ მიუღია. აქტის საფუძველზე ჩაირიცხა მომსახურების სრული საფასური. თუმცა, ნაწილობირივ მაინც შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ვანის მუნიციპალიტეტს მიაწოდა სამშენებლო მასალების ნაწილი. სასამართლოზე ბრალდებულმა სრულად ცნო თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, მოინანია ჩადენილი ქმედება. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საინტერესოა, პირი დამნაშავედ ცნო ორ დანაშაულში ერთობლიობით, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, ასევე სამსახურებრივი სიყალბის წაქეზებისთვის. აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეძლება გადაამეტოს მოხელემ უფლებამოსილებას და ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს.

კიდევ ერთ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება[31], რომელიც ასევე 332 მუხლის 1-ლი ნაწილით არის დაკვალიფიცირებული. ქმედება გამოიხატა შემდეგში: შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე პირი დაინიშნა საბაჟო გამშვები პუნქტის ცვლის უფროსის თანამდებობაზე და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. სტატუსიდან გამომდინარე მას ევალებოდა საბაჟო პუნქტზე დასაქმებული მებაჟე-ოფიცრების შრომის კოორდინაცია, ხელმძღვნელობა და მებაჟე-ოფიცრის ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მან ბორტად გამოიყენა უფლებამოსილება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტზე წინასწარი შეთანხმებით შემოვიდა ავტომანქანა. მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული პროგრამის მიერ განესაზღვრა ე.წ „წითელი დერეფანი“, რაც გულისხმობდა გადაადგილებული ობიექტის დათვალიერებას. ბრალდებულმა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით შეთანხმებისამებრ უზრუნველყო მანქანის გავლა ყოველგვარი საბაჟო კონტროლისა და დათვალიერების გარეშე, რის შედეგადაც ავტომობილმა საბაჟო ტერიტორიაზე მალულად გამოიტანა 100 ცალი მაჯის საათი და 68 წყვილი სპორტული ფეხსაცმელი. ბრალდებულმა ჩადენილი ქმედება აღიარა, რამაც შეამსუბუქა სასჯელი. ანალოგიურად წინა მაგალითისა, ეს შემთხვევაც წარმოადგენს კლასიკურ შემთხვევას. პირს სამსახურებრივი მდგომარეობით ჰქონდა იმის საშუალება, რომ საზღვარზე გადაადგილებული მანქანა არ შეემოწმებინა და თავისუფლად გაეტარებინა უკანონო

[31] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი. გამოთხოვილია თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიიდან. საქმე დაშტრიხულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისად.

ტვირთი. აღნიშნული ქმედება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა მოქალაქეებს რომელთა შემოწმებაც ხდება საზღვის კვეთის დროს და ბუნებრივია ილახება საჯარო ინტერესი.

შესადარებელ ნორმათა შორის კონტრასტული ფრაზაა - „თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად“. ბოროტად გამოყენება გულისხმობს სწორედაც რომ სარგებლის მიღებას, პრივილეგიებით სარგებლობას სამსახურეობრივი სტატუსიდან გამომდანრე. რაც შეეხება გადამეტებას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ საჯარო ინტერესის შელახვასთან, როდესაც დამნაშავს ქმედებით ირღვევა კანონიერი ინტერესები, თუმცა კონკრეტული ობიექტი არ არსებობს, არ ვიცით კონკრეტულად ვის სასარგებლოდ ვამეტებთ. საერთო ისაა, რომ მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაული მას ართმევს შესაძლებლობას გარკვეული პერიოდით კვლავ დასაქმდეს საჯარო სამსახურში. სწორედ, ზემოთ მოყვანილ კაზუსებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანს ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. ეს ერთგვარი პრევენციაა შემდგომი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, იმიტომ რომ თანამდებობაზე დარჩენის შემდეგ ცდუნება მეტია გამოიყენო ძალაუფლება შენს სასარგებლოდ. მოერგო სიტუაციას, სანამ ამის საშუალებაა, იმ მარტივი დევიზით, რაც ახასიათებთ მაღალჩინოსნებს, რომ სამსახური არაა მუდმივი. ამით ისინი იკეთებენ დამატებითი შემოსავლის წყაროს სამომავლოდ.

ბოლო პერიოდში არაერთი გახმაურებული საქმე იყო განხილვის საგანი პენიტენციურ დაწესებულებათა მუშაკების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით. არაერთგზის შუქდებოდა მედიასაშუალებებით თანამდებობის პირთა მხრიდან გადაცდომების თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი საქმეა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული შემთხვევა, რომლიც გლდანის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდა.[32] ნორმის დისპოზიციას სასამართლო განმარტავს, რომ ესაა მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაული, უფლებამოსილების გადამეტებით, ჩადენილი ძალადობით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ქმედების სუბიექტია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც ბრალდებულს ბრალის აღიარების მიზნით სასტიკად

[32] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი. გამოთხოვილია თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიიდან. საქმე დაშტრიხულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისად.

გაუსწორდა. მასზე მოახდინა რა ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა. ქმედება გამოიხატა შემდეგში: აბაზანის გასახდელში მყოფ ბრალდებულს მოსთხოვა ბრალად შერაცხული დანაშაულის აღიარება. მას შემდეგ რაც მიიღო უარი, ხელთ არსებული რადიოგადამცემი ძლიერად ჩაარტყა ცხვირში. დარტყმის შედეგად ბრალდებული წაიქცა. ამის შემდეგ დაწესებულების თანამშრომელი მას ძლიერად ურტყავდა ხელებს და ფეხებს, აგინებდა, ამცირებდა. სასტიკად გააფრთხილა, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის ეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მის თანასაკნელებს და თითონ ცოცხალს არ გაუშვებდა. საქმეში არსებული სხვა მოწმეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ციხეში დამკვიდრებული იყო ამ ტიპის რეჟიმი და მსგავსი ქმედება მოხელის მხრიდან არ იყო უცხო. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ქართულ სამართალშემოქმედებაში მკვიდრდება ევროპული სასამართლო პრეცენდენტების მოშველიებით დასაბუთება. ამ შემთხვევაშიც სასამართლო თავის დასაბუთებაში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა: Tanis and Others v. Turkey (no. 65899/01, ECHR 30/11/2005, ასევე, Keller v. Russia, no/, N 56, ECHR 09/02/2016, მტკიცებულებათა დასაბუთების ნაწილში უთითებს საქმეს Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, no10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68. განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.[33] სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დაღვევა გამოიწვია. ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ ფუნქციონირებასთან. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, შედეგში, რაც გამოიხატება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების , საზოგადოების

[33] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნტქი 32.

ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევაში და მიზეზობრივ კავშირში მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის იმ ქმედებასა, რომელიც სცილდება მის უფლებამოსილებების ფარგლებს და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, არსებითი დარღვევა შეფასებით ნიშანთა კატეგორიას მიეკუთვნება და ამ შემთხევაში ყურადღება უნდა მიექცეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად მიყენებული ზინის ზომას, საქმის კონკრეტულ გარემოებებს, დაზარალებულთა რაოდენობას და ა.შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისიწნებული დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია, იგი შეიძლება იყოს მოხელე, ან მასთან გათანაბრებული პირი. რაც შეეხება მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, ძალადობასა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფას - ძალადობაში იგულისხმება დაზარალებულის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური იძულება, ხოლო დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფაში, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ისეთი მოქმედება, რომელიც ამცირებს პირის ღირსებას უწესო ფორმით, ანუ ისეთი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ თანაცხოვრების წესს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა შეფასდეს. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არის სამართლიანი და კანონიერი, დასაბუთების ნაწილში ამომწურავადაა ჩამოყალიბებული მოსამართლის პოზიცია.

2011 წელს საინტერსო კვლევის შედეგებს აქვეყნებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, კერძოდ შესწავლილია სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევები, როგორც საპროცესო, ისე მატერიალური კანონმდებლობის დარღვევის კუთხით. კვლევაში ხვდება ნაშრომში განსახილველი სამართლის ნორმაც. პირს არასწორად დაედო მსჯავრი ექვსი დამოუკიდებელი ეპიზოდის გამო საქართველოს სსკის 332-ე მუხლით - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.[34] აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გადააკვალიფიცირა ქმედება სსსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილიდან სსსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ამ ორი ნორმის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად უთითებს იმას, რომ გამორჩენის ან უპირატესობის მიღება შეიძლება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით დამნაშავის მისწრაფებაში - მიიღოს რაიმე მატერიალური გამორჩენა თავისთვის ან სხვა პირთათვის, სახლმწიფო სახსრების ხარჯზე.გამორჩენის ან უპირატესობის მიღებას შეიძლება არაქონებრივი

[34] ქუთაისი სააპელაციო სასამართლოს 27.07.2010 წლის განაჩენი.

ხასიათიც ჰქონეს, თუმცა ბრალდებულს არავითარი პირადი ნაცნობობა არ აკავშირებდა სხვა თანაამსრულებლებთან. შესაბამისად, არ შეიძლებოდა სრულიად უცნობი პირებისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნი მოცული ყოფილიყო მისი განზრახვით. შრომატევადი სააღსრულებლო პროცდურების თავიდან არიდების მოტივით, ასევე ვერ განიხილება მისთვის უპირატესობის მინიჭებად, ვინაიდან აღნიშნული მოქმედება არ გამოხატავს საკუთარი თავითვის უპირატესობის მინიჭების შინაარსს. ასევე, მსჯავრდებულს ყველა ახალი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისას არ აღძვრია დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვა. პირის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო

2. სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი

თეთრსაყელოიანები წარმოადგენენ მაღალ თანამდებობაზე მომუშავე, განათლებულ, წარმატებულ, რეალიზებულ, პროფესიონალ, ნიჭიერ ადამიანებს. ამიტომ უცნაურია რატომ ჩადიან ისინი ისეთ დანაშაულს როგორიცაა თაღლითობა, ტყუილი, ქურდობა. პასუხი მარტივია: "რადგან მათ აქვთ ამის შესაძლებლობა/ძალაუფლება". 2007 ჩატარებული კვლევა ეხება თეთრსაყელოიან კრიმინალთა შეხედულებებს, ის ჩატარდა 45 გამოცდილი პროკურორისა და ადვოკატის ინტერვიუირების საფუძველზე, რომლებიც სპეციალიზირდებოდნენ თეთრსაყელოიანთა დანაშაულის სფეროში (P.H.Bucy; E.P.Formby; M.S. Raspanti; K.E.Rooney 2007); კვლევის მონაწილეთა გამოცდილება იყო ფართო, ვრცელი, (საშუალოდ 25-დან 36 წლიანი გამოცდილება). [35] ლიტერატურის კვლევის შედეგად დასტურდება, რომ სამოხელეო დანაშაულების მიმართ არსებული პრაქტიკა არ არის სრულყოფილი და მაღალგანვითარებული. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იკვლევს აღნიშნულ საკითხს. შედეგები კი საკმაოდ საინტერესო რეზულტატს იძლევა. ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა და არსებობს მოსაზრება, რომ „თეთრსაყელოიანი დამნაშავეები" კატეგორიზდებიან ან ლიდერებად ან მიმდევრებად, აღნიშნული მხარდაჭერილია ფედერალური აღკვეთის სახელმძღვანელო პრინციპებით (Federal Sentencing Guidelines).[36] ეს დაფუძნებულია 2 ფაქტორზე: დანაშაულებრივი ქცევა და ბრალდებულის კრიმინალური წარსული. კატეგორიზაციის მთავარი კრიტერიუმია ვინ არის დანაშაულის ინიციტორი და ვინ მონაწილეობს მასში. გამოკითხულთა 77,8% ადასტურებდა ლიდერებად და მიმდევრებად კატეგორიზაციის სიზუსტეს, მაგრამ მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მიმდევრებსა და ლიდერებს შორის ზღვარი ბუნდოვანია და დამოკიდებულია გამოძებასა და ბრალის წარდგენის ხასიათზე. პირობითად შეიძლება მათი

[35] Pamela H. Bucy Elizabeth P. Formby Marc S. Raspanti Kathryn E. Rooney :"Why Do Thy Do It?: Th Motives, Mores, and Character of White Collar Criminals" 2012

[36] The Psychology of Fraud: What Motivates Fraudsters to Commit Crime? Kelly Fisher This paper is submitted in partial fulfillment of the requirements for BUS 5903.70 Forensic Accounting Texas Woman's University Graduate School of Management Dr. John Nugent, LLM, CPA, CFE, CISM, FCPA Spring 2015

დახასიათება: ერთნი ვინც დანაშაულის სქემას ქმნიან და მეორე კატეგორია, ვინც მხოლოდ მონაწილეობს დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებაში. მაშინ, როცა ლიდერების მოტივაციაზე ყველა ერთხმად თანხმდება, მიმდევრების მოტივები არ არის ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ზემოთ აღნიშნულ კვლევაში გამოვლინდა 4 მთავარი მოსაზრება: 1) მიმდევრები არიან არაასერტული, სუსტი ადამიანები, რომლებიც „სხვის ჩრდილში არიან“ კრიმინალური ქცევის განხორციელებისას; 2) მიმდევრები დარწმუნებულები არიან თავიანთი მოსაზრების მართებულობაში, ხასიათდებიან მაღალი თვითიმედოვნებით და მიჰყვებიან ლიდერებს, რომელთა მიმართ განიცდიან შიშს ან ნდობას. 3) მიმდევრები ერთვებიან კრიმინალურ აქტივობებში, რადგან სურთ მიიღონ ფინანსური სარგებელი, მიაღწიონ მიზნებს. და მიიჩნევენ, რომ თუ ლიდერს დაუჭერენ მხარს, ამ გზით განახორციელებენ თავიანთ ამბიციებს. 4) მიმდევრები მოტივირებულები არიან, რადგან აქვთ ფინანსური თუ ფიზიკური დანაკარგის შიში. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ „თეთრსაყელოიანთა დანაშაულები“ ხშირად ვლინდება, მაგალითად: „თაღლითობის სერთიფიცირებულ გამომკვლევთა ასოციაცია“ (CFE), აღნიშნავს, რომ ა.შ.შ.-ს მსხვილი კომპანიების ყოველწლიური ფინანსური დანაკარგის 3%-დან 6%-მდე მერყეობს (რაც 330-დან 660 მილიარდ დოლარმდე შეადგენს), სწორედ თანამშრომელთა თაღლითობის შედეგია. აქვე, აღსანიშნავია, რომ მაღალი კლასის თაღლითების 46% ირჩევს საშუალო ზომის კომპანიებს და არა საერთაშორისო კომპანიებს.

დღესდღეობით სამოხელეო დანაშაულთა სტატისტიკური მატება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არამხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებს, არამედ დიდ ისე მცირე ბიზნესსაც.

ფაქტია, რომ თაღლითობით გამოწვეული საშუალო წლიური დანაკარგი შემოსავლების დაახლოებით 5%ია, რაც ნიშნავს იმას რომ მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად $3,7 ტრილიონი დოლარი იკარგება.

ის, რომ თეთრსაყელოიანი თაღლითები შინაგანად არიან დამნაშავეობისკენ მიდრეკილები მცდარი გავრცელებული აზრია. დაახლოებით 87% ამ ადამიანებისა პირველად ჩადის დანაშაულს.

ჩვეულებრივ, ორგანიზაციაში მუშაობის დაწყებისას მათ არ აქვთ ამგვარი ქმედების ჩადენის განზრახვა. როგორც წესი ისინი ხასიათდებიან მაღალი სოციალური სტატუსით, განათლებით და საზოგადოების წევრებისადმი პატივისცემით.

დაახლოებით 50% დანაშაულისა 31-45 წლის ასაკშია ჩადენილი. მათი უმრავლესობა მუშაობდა საბუღალტრო , საფინანსო, აღმასრულებელ ორგანოებში, გარდა ამისა, მათ ჰქონდათ მაღალი თანამდებობა და ძალაუფლება ამ პოზიციებზე. მსოფლიო მასშტაბით მათი უმრავლესობა მამაკაცია.

50% შემთხვევებში ეს ადამიანები დაახლოებით 3-დან 10 წლამდე მუშაობდნენ კონკრეტულ ორგანიზაციებში , კონკრეტულ თანამდებობდაზე, 25% კი 10 წელზე მეტი. აღნიშნული გარემოება მათ აძლევდათ საშუალებას სამსახურში მოეპოვებინათ

კეთილგანწყობა და ნდობა თანამშრომელთა მხრიდან, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ პირობას უქმნის დანაშაულის ჩასადენად. რთულად წარმოსადგენს ხდის თანამშრომელთა შორის, თუ რატომ უნდა გაუჩნდეს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა და კარგი რეპუტაციის თანამშრომელს ამ ყველაფრის დათმობაის სურვილი ერთჯერადი მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ.

ძველი თანამშრომლები უფრო ხშირად სჩადიან ამ ტიპის დანაშაულს ვიდრე ახალბედები, გამომდინარე იქიდან რომ ისინი უკეთ იცნობენ გარემოს და სისტემის სუსტ მხარეებს. ამასთან, ახალდებედების ცდუნების ალბათობა ნაკლებია. ისინი სამსახურის დაწყების პირველ ეტაპებზე გამოირჩევიან მაღალი მოტივაციითა და ენთუზიაზმით, იჩენენ ყურადღებას თითოეულ დეტალზე. ბევრი თეთრსაყელოიანი დამნაშავე მრავალი წლის განმავლობაში ყოველგვარი თაღლითური ქცევის გარეშე მუშაობს კომპანიაში, სანამ დანაშაულს ჩაიდენს. ეს დაკვირვება მხარს უჭერს კონცეფციას, რომ საშუალოდ თეთრსაყელოიანი დამნაშავეები ბუნებით უფრო პატიოსნები არიან ვიდრე მატყუარები.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ინტერესთა შეუთავსებლობა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ არ შესრულდეს საჯარო ინტერესი, ვინაიდან საჯარო მოსამსახურე თავის პირად/კერძო ინტერესებს ანიჭებს უპირატესობას და შედეგად, საჯარო სერვისი მოქალაქეს სათანადო ხარისხით არ მიეწოდება. საინტერესოა თუ რამ შეიძლება უბიძგოს მოხელეს ჩაიდინოს დანაშაული. ხშირად დიდი ცდუნება პირმა წამოიწყოს საქმიანობა რომელიც ინტერესთა შეუთავსებლობაშია და კანონით იკრძალება. ქართული კანონმდებლობა იცნობს ორ ძირითად აქტს, რომელიც არეგულირებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს, და ესენია: საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“.[37] ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტებს კანონის თანახმად წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეები. თუმცა, იმისათვის, რომ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ვინ იგულისხმება საჯარო მოსამსახურეში, კანონი ცალკე პუნქტად განმარტავს საჯარო მოსამსახურის ცნებას. კანონის 2 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეები არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ

[37]„ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ ; გზამკვლევი მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის და დანიის მთავრობის მხარდაჭერით.http://www.library.court.ge/upload/889897%20interesta.pdf ბოლოს გამოხმობილია 06/06/2019

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. კანონი ასევე აკეთებს დათქმას, რომლის თანახმადაც შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირები არ ითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად და, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები. იდენტური დანაწესია დადგენილებაში, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობისა და საჩუქრის რეგულაციები.[38] ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ საჯარო მოსამსახურეებად არ ითვლებიან კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები და მათზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობის რეგულაციები. ესენი არიან: სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი; იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ არ ვრცელდება სახელმწიფო პოლიტიკურ და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, ასევე საქართველოს მოსამართლეებზე, თუმცა ისინი ექცევიან კანონის იმ მუხლების რეგულაციის ქვეშ, რომლებიც ეხება ინტერესთა შეუთავსებლობას. ინტერესთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მაგალითს წარმოადგენს საჯარო სამსახურის გარდა/პარალელურად სხვა სახის საქმიანობის განხორციელება. მსგავსი შემთხვევები რეგულირებულია როგორც კანონით, ასევე დადგენილებით. ნათელია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო მოსამსახურე ასრულებს პარალელურად ორ ფუნქციას და საქმიანობს ორ სფეროში, წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების სრულყოფილად და ობიექტურად განხორციელებას, რაც სამომავლოდ აისახება საჯარო დაწესებულების რეპუტაციაზე. ინტერესთა შეუთავსებლობის მეორე ფორმას წარმოადგენს შეუთავსებლობა დამატებითი ანაზღაურების მიღების გამო. ასეთ შემთხვევაში ნათელია, რომ საჯარო მოსამსახურე, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობრივი სარგოს გარდა დამატებით იღებს შემოსავალს სხვა საქმიანობიდანაც, რაც თავისთავად წარმოშობს პირად ინტერესს და მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად აღნიშნული საქმიანობა შეიძლება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მოსამსახურის ფუნქციებს, იგი მაინც უნდა ჩაითვალოს ინტერესთა შეუთავსებლობად, ვინაიდან მოსამსახურის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მან საჯარო დაწესებულებაში დაკისრებული თავისი ფუნქციები ნაკლები გულისყურით შეასრულოს და მეტი

[38] იხ. იქვე

ყურადღება და დრო დაუთმოს პარალელურად არსებულ შემოსავლის წყაროს. ამ პრობლემას უფრო ვიწრო მასშტაბით, კერძოდ, შიდაუწყებრივი და წმინდა მომსახურების გაწევის კუთხით, არეგულირებს მთავრობის დადგენილებაც, რომლის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას არ ითხოვს ან/და არ იღებს მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა, ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან და არ იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას კერძო ინტერესების სასარგებლოდ. ამავე დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად კი საჯარო მოსამსახურე არ იღებს ანაზღაურებას (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) იმ საქმიანობისათვის, რომლის განხორციელებაც მას ეთხოვა, როგორც საჯარო დაწესებულების წარმომადგენელს და გულისხმობს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ცოდნის დაინტერესებული პირის ან ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებას სამუშაო თუ არასამუშაო საათებში. აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი მაგალითები, როდესაც დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურეს დავალებული აქვს გარკვეული კონსულტაციების გაწევა საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებულ ან/და განსახორციელებელ ღონისძიებებზე. მაგალითად: საჯარო განხილვების ჩატარება, კონფერენციების წარმართვა, ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა.[39] ინტერესთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგულაციას წარმოადგენს ე.წ. „მბრუნავი კარის“ პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ასახულია კანონში, რომლის თანახმად საჯარო მოსამსახურის მიერ ინტერესთა შეუთავსებლობას მას შემდეგაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა ის საჯარო სამსახურში საქმიანობას შეწყვეტს. მნიშვნელოვანია, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ არ მოხდეს საჯარო სამსახურში დაგროვებული კონტაქტებისა და რესურსების კერძო ინტერესებისათვის გამოყენება. ამიტომაც „მბრუნავი კარის“ პრინციპის დაცვა ხელს უწყობს კორუფციული გარიგებების მინიმუმამდე დაყვანას. კანონის თანახმად, განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას არც იმის უფლება აქვს, ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან შემოსავალი მიიღოს. კანონი ცალკე პუნქტად გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც თანამდებობის პირის მიერ ხდება ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა და აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ფორმად ითვალისწინებს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას. კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირი (თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) უნდა

[39]იხ. იქვე

გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

2.1 სპეციალური ამსრულებლის მახასიათებლები

სპეციალური ამსრულებლის თავისებურების განხილვისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ქართულ კანონმდებლობაზე, თუ ვის ასახელებს კანონი დანაშაულის ამსრულებლად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი[40] მთლიანად ეთმობა სამოხელეო დანაშაულებს. სსსკ-ის 332 მუხლის შენიშვნაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, თუ ვინ შეიძლება ჩაიდინოს სამოხელეო დანაშაული. თავად სიტყვის სპეციფიკაც გვაგრძნობინებს, რომ ამსრულებელი გარკვეული ნიშნით ხასიათდება და რაღაც წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. 332 და 333 მუხლი გვატყობინებს, რომ სუბიექტია ის, ვინც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს ან უფლებამოსილებას გადაამეტა, მაშასადამე საქმე გვაქვს დასაქმებულ პირთან, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობს და მისი პრივილეგირებული მდგომარეობა, საქმის კარგად ცოდნა, გამოცდილება და ძალაუფლება უბიძგებს კრიმინალისკენ. 332 მუხლი[41] ამბობს, რომ „დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.“[42] კანონის მიზნებისთვის მოხელესთან გათანაბრებულ პირად მოიაზრება უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირი, მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრი, აგრეთვე ნებისმიერი პირი რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის. საინტერესოა, რომ სსსკს-ის 338-ე-339[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები ასევე არიან ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი

[40] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 2018 წლის მდგომარეობით. www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=207 ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

[41] იქვე.

[42] იქვე.

მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.[43] ასევე, საინტერესოა, 342[1]-ე მუხლის ამსულებელი, რომელსაც კანონის ახალი რედაქცია გვთავაზობს. ესაა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ განხორციელებული ქმედება. აქვე უნდა განვიხილოთ „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის“[44]ბოლო რედაქცია, რომელიც საინტერესო დიფერენციაციას გვთავაზობს. საჯარო სამსახურს ჰყოფს შემდეგ სახეებად: სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში. კანონი საჯარო მოსამსახურის ცნებას შემდეგნაირად გვიყალიბებს: „ საჯარო მოსამსახურე კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელწმიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში“.[45] კანონი საჯარო მოსამსახურეებს კატეგორიებად ჰყოფს: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურე. თავად მოხელის ცნებას კანონი შემდეგნაირად განგვიმარტავს, რომ ეს არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეებს კიდევ ორ კატეგორიად ჰყოფს: სახელმწიფო მოხელე და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე. დამხმარე მოსამსახურედ განიხილება ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. კანონი იცნობს შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობასაც. ეს არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ყოველი მათგანი შეიძლება იყოს ნაშრომში განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი.

2007 წელს ჩატარებული კვლევა ეხება თეთრსაყელოიან კრიმინალთა შეხედულებებს, ის ჩატარდა 45 გამოცდილი პროკურორისა და ადვოკატის ინტერვიუირების საფუძველზე, რომლებიც სპეციალიზირდებოდნენ თეთრსაყელოიანთა დანაშაულის სფეროში (P.H.Bucy; E.P.Formby; M.S. Raspanti; K.E.Rooney 2007); კვლევის მონაწილეთა გამოცდილება იყო ფართო, ვრცელი, (საშუალოდ 25-დან 36 წლიანი გამოცდილება). საინტერესოა ის ფაქტი, რომ თეთრსაყელოიანი დანაშაულის მოქმედ პირად ითვლება არა მხოლოდ დამნაშავე, არამედ თავად კომპანიაც.

---

[43] იქვე.

[44] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312 ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

[45] იქვე.

კვლევის მონაწილეთა 80%ს წარმოადგენდა აქტიურად მომუშავე ან დიდი გამოდილების მქონე პროკურორები. კვლევის მონაწილეთა 27% აღნიშნავდა , რომ პრაქტიკაში არ ჰქონდა შემთხვევა, როცა თეთრსაყელოიანთა თაღლითობის ან ქრთამის აღების შემთხვევაში საქმე აღიძრა იურიდიული პირის წინააღმდეგ. მაგრამ პროკურორების უმრავლესობა წარმოადგენდა წარმოადგენდა მონაცემებს, კონკრეტულად რა გარემოებას აქცევენ ყურადღებას კომპანიათა ბრალეულობის განხილვისას. კვლევის მონაწილეები მიუთითებდნენ, რომ ზოგადად, არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი და განსაზღვრული იურიდიული პირის ბრალეულობა კორპორაციაში განხორციელებულ დანაშაულში.

რაც შეეხება დანაშაულებრიობის ფაქტორებს: პირველ ფაქტორად მიუთითებდნენ კომპანიის სტრუქტურებში არაკანონიერი ქმედებების გავრცელებას, მენეჯერებისა და მაღალ პოზიციებზე მყოფი პირების ჩართულობას დანაშაულში. ამდენად, კომპანია დამნაშავეა იმდენად, რამდენადაც მასში მომუშავე მაღალკვალიფიციური კადრები არიან ჩართულები დანაშაულებრივ ქმედებაში.

მეორე ფაქტორად დასახელდა კორპორაციაში თანამშრომლობის დონე, მოქმედების გეგმა, თაღლითობის აღმოჩენის შემდეგ, როცა საჭირო ხდება ფაქტის გამოაშკარავება. კომპანიის ბრალეულობა განიხილება მაშინ, როცა კომპანიაში დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არსებობს, მაგრამ არ ამჟღავნებენ.

ასევე დასახელებული იყო თაღლითობის შედეგად კომპანიის, აქციონერებისა თუ თავად თანამშრომლების ფინანსური ან/და ფიზიკური ზარალი/ზიანი; კორპორაციაში დასახული მიზნები; კოპმანიის მიმართ ერთგულება და რწმენა; შესრულებისთვის დახარჯული ძალისხმევა; პირადი მიზნები და განზრახვა; ასევე პროკურორები აღნიშნავდნენ, რომ დანაშაულისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად იყენებდნენ ა.შ.შ.ს იუსტიციის დეპარტამენტის მეთოდურ რეკომენდაციებს (guidlines).[46]

2.2 „მიმდევრების“ პიროვნული მახასიათებლები

მიმდევრების პიროვნულ მახასიათებელთა შორის გამოირჩევა: ნაკლები აგრესიულობა, ნაკლები თავდაჯერებულობა, პასიურობა, ნაკლები ამბიციურობა, მიმნდობობა, დაქვემდებარებულობა, სხვათა გადაწყვეტილებების შესრულებისკენ მიდრეკილება და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების ნაკლები ინიციატივა. კვლევები აჩვენებს, რომ მიმდევრები, როგორც წესი, არ განიცდიან დანაშაულის გრძნობას, რადგან ისინი მოქმედებენ სხვისი მითითებებით.

---

[46] თეთრსაყელოიანთა დანაშაული: მოტივები, წესები, მახასიათებლები, მ.ნანაძე, ქ. ქავთარაძე, 2016წ.http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

ედვინ საზერლენდმა გამოიკვლია როგორ მოქმედებს პიროვნული მახასიათებლები დანაშაულებრივ ქცევაში. მან გამოყო შემდეგი მახასიათებლები: კონტროლის საჭიროება, ბულინგი, ქარიზმა, დაცემის შიში, ჯგუფური ამბიციები, მთლიანობის ნაკლებობა, ნარცისიზმი, სოციალური სინდისის ან/და პასუხისმგებლობის ნაკლებობა.

ა) კონტროლის საჭიროება:

ადამიანები, კონტროლის მაღალი სურვილით, ხასიათდებიან ასერტიულობით, აქტიურობითა და გადაწყვეტილების მიღების უნარით. ჩვეულებრივ, ჯგუფურ სიტუაციებში, ისინი იღებენ ლიდერის პოზიციას, შეუძლიათ მიზნების დასახვა, ჯგუფის მუშაობის წარმართვა ამ მიზნებისკენ, შეუძლიათ ძალისხმევის განაწილება. მათ აქვთ კონტროლის გარეგანი ლოკუსი წარუმატებლობის შემთხვევაში.

ბ) ბულინგი:

სხვა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ კომპანისს ხელმძღვანელები ხშირად იყენებენ ბულინგს თავიანთი დაქვემდებარებულების მიმართ, პირადი მიზნების განხორციელების მიზნით. მაგალითად კომპანია Qwest-ის აღმასრულებელი დირექტორი ჯო ნაჩიომ (Joe Nacchio) კომპანიაში შექმნა "შიშის კულტურა", მომუშავე პერსონალის თქმით ის ამ გზით ახორციელებდა თავის თაღლითურ გეგმებს და ვერავინ ბედავდა კითხვის დასმას.[47]

გ) ქარიზმა:

ქარიზმა ძირითადად დამახასიათებელია ლიდერებისთვის. სწორედ ქარიზმა აძლევს საშუალებას მას აკონტროლოს ჯგუფი და შეძლოს „აიძულოს" ჯგუფის წევრები გაიზიარონ ლიდერის აზრი, მიზნები.[48]

დ) დაცემის შიში:

შეიძლება ითქვას ეს იგივეა, რაც დამარცხების შიში. თეთრსაყელოიან დამნაშავეებს ეშინიათ პროფესიონალიზმისა და ფინანსური სტატუსის დაკარგვის. ამიტომ მზად არიან განახორციელონ არაეთიკური ქცევები, რათა შეინარჩუნონ მატერიალური სიმდიდრე, პროფესიული რეპუტაცია, ძალაუფლება. ამდენად, ნებისმიერი ცვლილება სამუშაო ადგილზე, მათ მიმართავს თაღლითობისკენ, ქრთამის აღებ-მიცემობისკენ თუ სხვა ტიპის დანაშაულისკენ, რაც უზრუნველყოფს მათ სტატუს ქვოს შენარჩუნებას.

---

[47] Pamela H. Bucy Elizabeth P. Formby Marc S. Raspanti Kathryn E. Rooney :"Why Do Thy Do It?: Th Motives, Mores, and Character of White Collar Criminals" 2012

[48] იხ.იქვე

ე)კორპორაციული წარმატების საჭიროება:

მართალია ეს არ არის პერსონალური მახასიათებელი, მაგრამ კორპორაციული წარმატების საჭიროება წარმოადგენს თეთრსაყელოიანთა ქცევის ერთერთ წამყვან მოტივს, სურვილს, ინტერესს. ამ მახასიათებელთან ასევე დაკავშირებულია სიხარბე.

ვ) ნარცისიზმი:

ავსტრალიელი ფსიქოლოგი გრეის დაფილდი (Grace Duffield) თეთრსაყელოიანებს ახასიათებს, როგორც ზეამბიციურებს, ძალაუფლების და კონტროლის მოყვარულებს. აქვთ მაღალგანვითარებული აღმატებულობისა და ნარცისიზმის გრძნობა. ისინი საკუთარ თავს ვერ აყენებენ სხვის ადგილას, არ შეუძიათ მოვლენის შედეგების განსაზღვრა სხვისი პოზიციიდან.

ზ) მთლიანობის ნაკლებობა:

Mortimer Dittenhofer აღნიშნავს, რომ ის მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს ინდივიდის პიროვნების მთლიანობას (ასეთი მახასიათებლების მორალი, ეთიკურობა, პატივისცემა) თეთრსაყელოიან დამნაშავეებს შორის არ არის სათანადოდ განვითარებული. მისი თეორიის თანახმად, ადამიანები, რომლებიც განიცდიან პიროვნული მთლიანობის ნაკლებობას მიდრეკილები არიან კრიმინალური ქცევებისკენ.[49]

3. სამოხელეო დანაშაულთა ჩადენის ხერხები და მოტივები

დანაშაულის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ ქმედებით. ზოგადად სისხლის სამართლის დოგმატიკა გამოყოფს ორი სახის დანაშაულს მატერიალურსა და ფორმალურს. მატერიალური ესა არის კონკრეტული შედეგით დასრულებული ქმედება მაგ: ადამიანის მკვლელობა (108მ.) და ფორმალური ანუ უშედეგო ქმედება, ამის მაგალითია (179მ) ყაჩაღობა, რომელიც თავდასხმის მომენტიდან დასრულებულად ითვლება. სამოხელეო დანაშაულები მატერიალურ დანაშაულთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. განხორციელებული ქმედებით დგება

[49] http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html ბოლოს გამოხმობილია 11/06/2019

კონკრეტული შედეგი, კერძოდ, ილახება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლება, ირღვევა საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონერი ინტერესი. ჩადენის ხერხს რაც შეეხება, იგი შეიძლება გამოიხატოს ძალადობთ, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. აქტიურ ხერხად გამოიყენება იძულება, მოტყუება, დაშინება. ქრთამის აღება/მიცემის ნაწილში გამოიყენება ისეთი ხერხები, როგორებიცაა: შეთავაზება, დაპირება, გამოძალვა, მინიჭება. ქრთამის აღება/მიცემის შემთხვევაში საინტერესოა რომ ქმედებასთან ერთად შეიძლება შევხვდეთ უმოქმედობის ფაქტსაც. მოხელემ შესაძლებელია განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, ასევე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. საინტერესო შემთხვევაა ზეგავლენით ვაჭრობა, რომლის ჩამდენი სუბიექტი კერძო პირია. ის ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ. ამ შემთხვევაში ფულად სარგებელს იღებს ზეგავლენის მომხდენი. რაც შეეხება სამსახურეობრივ სიყალბესა და გულგრილობას ჩადენის ხერხებია ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტში ან დავთარში, ყალბი დოკუმენტის შედგენა, გაცემა. გულგრილობა გამოიხატება დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, მისდამი დაუდევარ ქცევაში.

სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ძირითად მოტივად სახელდება ანგარება, თუმცა იგი შესაძლებელია ჩადენილი იყოს სხვა პირადი მოტივებით.

ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ საქმეს წარმოადგენს ე.წ. „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი და მოწმეებზე ზეწოლის შემთხვევები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით, ბაჩანა ახალაია დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე საქართველოს საჯარო სამსახურში თანმდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით. განაჩენის თანახმად: „მიუხედავად ჩვენებებში არსებული გარკვეული უზუსტობებისა დაზარალებულები და ციხის შემსწრე თანამშრომლები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ მათ მიერ განხორციელებული ძალადობის თაობაზე და პირდაპირ მიუთითებენ დანაშაულის ჩამდენ პირებზე.“ თუმცა განაჩენში მითითებულ მოწმეთა ჩვენებებში საუბარია

პროკურატურის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე. კერძოდ, მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში, პროკურატურა მათ ემუქრებოდა დაჭერით ან სასჯელის დამძიმებით. მაგალითად, ერთ-ერთი მოწმე აცხადებს, რომ „ის დაიბარეს მოწმის სახით დასაკითხად პროკურატურაში, სადაც უთხრეს, რომ გ.მ-სა და ბაჩანა ახალაიაზე მიეცა ჩვენება, იმ შინაარსით როგორც მათ დაჭირდებოდათ, რის სანაცვლოდაც იქნებოდა უკეთეს მდგომარეობაში, მან შემოთავაზებაზე უარი უთხრა, რადგან იმ ფაქტებს ვერ იტყოდა რაც არ მომხდარა, აღნიშნულზე პროკურორი გაბრაზდა და უთხრა, რომ იმას დაწერდა რაც მას უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარი თავის თავისთვის დაებრალებინა. იგი რამდენიმე თვეში დააკავეს.“ გარდა ამისა, პროკურორმა შემდეგ შესთავაზა, რომ ჩვენება მიეცა ვითომ პატიმრები ცემეს გაყვანისას და ამით გარეთ გასვლის შანსი იქნებოდა. მის უარზე უთხრა, რომ გარეთ მეუღლე და შვილი ყავდა და თუ არ დასთანხმდებოდა მის მიმართ წარდგენილი წამების ბრალდება დაუმტკიცდებოდა და დამძიმდებოდა, რის შემდეგაც დიდი ხანი ოჯახს ვერ ნახავდა. საინტერესოა საქმეში დაზარალებულად ცნობილი ერთ-ერთი პირის, შემთხვევა. მოწმის ჩვენების მიხედვით, მოწმე არასამთავრობო ორგანიზაციაში „თავისუფლების მხარდაჭერის ცენტრში“ გამოცხადდა, ვინაიდან სურდა „სიმართლის თქმა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. იგეგმებოდა პრესკონფერენციის ჩატარება, რა დროსაც იგი პროკურატურის თანამშრომლებმა გაიტაცეს, რაც დაფიქსირებული იქნა ტელევიზიების მიერ. მოწმე ინციდენტის შემდეგ კვლავ მივიდა არასამთავრობო ორგანიზაციაში და დაადასტურა ზეწოლის ფაქტი და განაცხადა, რომ ტელევიზიიდან პროკურატურაში წაიყვანეს. იგი ა.ნ-ს ფულს სთხოვდა, რათა ქვეყანა დაეტოვებინა და იქიდან ეთქვა სიმართლე, რადგან საქართველოში ეშინოდა. ხსენებული ფაქტი მოწმემ სასამართლო პროცესზე უარყო, თუმცა იქვე განაცხადა, რომ ახალაიების მხრიდან მას არავინ დამუქრებია. სავარაუდოდ, გაიტაცეს, ასევე, შ. თ-ც - შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აქტიურ ღონისძიებათა სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე. მისი ბიძაშვილი, აცხადებს, რომ 2014 წლის 24 თებერვალს პროკურატურაში 12 საათიანი დაკითხვის შემდეგ, შ.თ ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. მხოლოდ 18 მარტს გახდა ცნობილი ოჯახის წევრებისთვის თათუხაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ. შალვა თათუხაშვილმა ოჯახის წევრებსა და ადვოკატს უთხრა, რომ ემუქრებოდნენ სამუდამო პატიმრობით და შვილის სიკვდილით. მან, ასევე, განაცხადა, რომ იარაღით თავზე ედგა პროკურორი და ისე გააკეთებინეს ჩანაწერი, რომელიც ტელევიზიით გავრცელდა და რომლითაც შ.თ უარყოფდა პროკურატურის მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს. მას, ასევე, აიძულეს ეთქვა, რომ ახალაიებისაგან გრძნობდა საფრთხეს. როგორც ცნობილია, 2014 წლის 24 მარტს გავრცელდა ინფორმაცია შ.თ-ს გარდაცვალების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ნავთლუღის“ ოპერაციის საქმე შეეხება 6 პატიმარს, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ რუსთავის № 1 დაწესებულებაში.

თუმცა ერთ-ერთი პატიმარი, რომელიც მითითებულია სასამართლო განაჩენში, რეალურად სასჯელს იხდიდა გეგუთის № 8 დაწესებულებაში და არა რუსთავის № 1 დაწესებულებაში. ბუნებრივია, ეს ფაქტორი ეჭვის ქვეშ აყენებს ბრალდების მხარის მტკიცებასა და შემდგომში, სასამართლოს განაჩენს ბაჩანა ახალაიას მსჯავრდებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ერთ-ერთი მოწმე, რომლის ჩვენებასაც დაეყრდნო სასამართლო განაჩენის გამოტანისას, მიუთითებს, რომ ბევრჯერ გაუგია ბაჩანა ახალაიას მიმართ გავრცელებული ცრუ ბრალდებები . სასამართლომ ზემოხსენებული ფაქტები არ გაითვალისწინა, ვინაიდან არაა შესაბამისობაში დაზარალებულისა და სხვა მოწმეების ჩვენებებთან და გამოკვლეულ წერილობით მტკიცებულებებთან. ამავდროულად, წამების ჩადენაში ბაჩანა ახალაიას დამნაშავედ ცნობისას მოსამართლე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს - Aksoy v. Turkey. აღსანიშნავია, რომ მითითებულ საქმეში განმცხადებელი დაკავებული იყო 14 დღის განმავლობაში და მის მიმართ პოლიციამ განახორციელა წამების ერთ-ერთი ფორმა - „პალესტინური დაკიდება“. შედეგად, იგი ვეღარ იყენებდა მკლავებსა და ხელებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებული ქმედება შეაფასა, როგორც არააადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და არა როგორც წამება. მაშინ, როცა ბაჩანა ახალაიას საქმეში პატიმართა ცემა და გაშიშვლება სასამართლომ დააკვალიფიცირა წამებად. გარდა ამისა, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში განავითარა შემდეგი მსჯელობა: წამებაში მონაწილე სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ინდივიდუალურად არ იძლეოდეს წამების შემადგენლობას, ქმედების თითოეული მონაწილე მის მიერ ჩადენილ ქმედებას არ აფასებდეს, როგორც წამებას, მაგრამ აღნიშნულ შეფასებაში დიდი წილი მოდის სწორედ დაზარალებულის პერსეფციაზე, რომელიც კომპლექსურად აფასებს ყველა მონაწილის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს ერთობლიობაში, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, როგორც ძლიერ ფიზიკური ან, ფსიქიკური ან/და მორალური ტანჯვა. მსგავსი მსჯელობა ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლისთვისაც აუცილებელია კონკრეტული პირის განზრახვის დადგენა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღწერილი ქმედების კვალიფიკაცია მოხდა წამებად, რომელიც მოითხოვს უმაღლესი ზღვრის დაკმაყოფილებას. ქმედება არ იქნა მიჩნეული თუნდაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობად. ე.წ. „ნავთლუღის“ საქმეში საინტერესოა დაზარალებულად ცნობილი პირების კრიმინალური წარსული. თავად გია გიორგაძე მსჯავრდებულია ქურდობისა და ქურდობის მცდელობისთვის და ამავდროულად, ორჯერ სცადა საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევა. დ.ლ 4-ჯერ ყაჩაღობა ძალადობით და ჯგუფურად, 5-ჯერ იარაღის უკანონო შენახვა, შეძენა, ტარება, ერთხელ ტრანსპორტის გატაცება, ერთხელ ქურდობა, 2-ჯერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა. მიხეილ მანდარია, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსთავის № 1

დაწესებულებაში პატიმართა წამების დროს საერთოდ არ იმყოფებოდა, მსჯავრდებულია 2-ჯერ ყაჩაღობისთვის მკვლელობის მუქარით, ერთხელ თავისუფლების აღკვეთისთვის და ქურდობის 1 ეპიზოდისთვის. ბერდია მესხი მსჯავრდებულია ყაჩაღობის ერთი და ქურდობის ორი ეპიზოდის გამო. მამუკა ბეჭვაიას კრიმინალური წარსული მოიცავს: 1 ყაჩაღობა, 2 ნარკოტიკული საშუალების შეძენა-მოხმარება, 1 ქურდობა. ხოლო ვალერიან პაპავა მსჯავრდებულია ყაჩაღობის ჩადენის გამო. თავად მოსამართლემ მათი ჩვენებების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, როდესაც, მაგალითად, დ.ლ-ს მიმართ განაცხადა, რომ ჩვენებების შეცვლისაკენ იყო იგი მიდრეკილი. გარდა ამისა, ეჭვს ბადებს ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებულ ექვსივე პატიმარზე გავრცელდა ამნისტიის შესახებ კანონი და მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი არაერთგზისი დანაშაულებისა, ისინი გათავისუფლდნენ პატიმრობისგან. ხსენებული პატიმრებისაგან კიდევ უფრო გამორჩეულია მ.ბ შემთხვევა, რომელმაც ამნისტიის საშუალებით სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ კვლავ ჩაიდინა ყაჩაღობა, თუმცა გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, მიუხედავად მისი კრიმინალური წარსულისა. ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული შერჩევითი სამართალი ე.წ. „გირგვლიანის“ ეპიზოდის ფარგლებში, საინტერესოა, შერჩევითი სამართლის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც, სად-ის № 10 დაწესებულების მაშინდელი დირექტორი, რომელმაც „ზედმიწევნით შეასრულა“ ბაჩანა ახალაიას მითითებები და დავალებები კონკრეტულ პატიმართათვის პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნის შესახებ (მათ შორის, ერთ-ერთი პატიმრის, საპყრობილიდან უკანონო გაყვანა, მოადგილეებისა და განყოფილების უფროსებისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა), გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. სხვა ამსრულებლები კი, კვლავ აგრძელებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. [50]

3.1 თაღლითობა, როგორც სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხი

ყველაზე ცნობილი თეორია თაღლითობის მოტივაციასთან დაკავშირებით განავითარა Donald R. Cressey-მა[51]. მიუხედავად იმისა, რომ ის თავად არ იყენებდა ამ

[50] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი,საქმე №1/3137-14

[51] (1919-1987) მეოცე საუკუნის ამერიკული კრიმინოლოგიის ცენტრალური ფიგურა. 1930 წლიდან კრიმინოლოგიის გამორჩეული თვისება იყო სოციოლოგიის დომინირება სხვადასხვა დანაშაულებებსა და დანაშაულებრივ მართლმსაჯულებაში. დანაშაულისა და დისკრიმინაციის სოციოლოგიაში Cressey-მა წვლილი შეიტანა მისი სწავლების, სტიპენდიებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩათვლით. იგი ცნობილია ედვინ საზერლენდის ტრადიციის მიმდევრად. ციხეებსა და კრიმინოლოგიურ თეორიაში შესწავლისთვის მისი ინოვაციური წვლილისთვის. მან წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის სოციოლოგიასა და თეთრსაყელოიან დანაშაულთა კვლევაში.

ტერმინს მის მიერ შემუშავებული მოდელი საყოველთაოდ ცნობილია როგორც თაღლითობის სამკუთხედი.

გამოიყოფა თაღლითური ქცევის 3 გამომწვევი ელემენტი. ესენია: შესაძლებლობა, ზეწოლა და რეციონალიზაცია.

იმისათვის რომ ქცევა განხორციელდეს აუცილებელია წარმოდგენილი იყოს სამივე ელემენტი, თუ რომელიმე ელემენტი აკლია მაშინ თაღლითური ქცევა არ განხორიცელდება.

შესაძლებლობა არის თაღლითური საქმიანობის სასიცოცხლო ელემენტი. პოტენციურ თაღლითს შეიძლება ჰონდეს თაღლითობის ჩადენის სურვილი მაგრამ შესაძლებლობის გარეშე ნაკლებსავარაუდოა მისი განხორციელება. გამოყოფა ამ ელემენტის 2 ძირითადი ასპექტი. პირველია ზოგადი ინფორმაცია, რომელიც გულისხმობს რომ მისი თანამდებობრივი პოზიციით შეუძლია ისარგებლოს და ითაღლითოს. მეორე ასპექტი არის ტექნიკური უნარი რომელიც გულისხმობს იმ შესაძლებლობებს და უნარს, რომელიც სჭირდება დანაშაულის ჩადენას-მაგალითად ბუღალტერიული აღრიცხვის ცოდნა, როგორ დაიინოს და შემდეგ გადამალოს გაფლანგვა, აწარმოოს გაყალბების დაფარვისთვის საჭირო ჩანაწერები და .შ.

შემდეგი ელემენტი არის ფინანსური ზეწოლა, რომელიც შეიძლება იყოს რეალური ან აღქმული. მაგალითისთვის რეალური ფინანსური ზეწოლა მოიცავსმოულოდნელ სამედიცინო ხარჯებს ან დიდი ოდენობით დავალიანებას. აღქმული ფინანსური ზეწოლა კი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც სურთ გაიუმჯობესონ ცხოვრება და სტატუსი.

მესამე ელემენტი არის რაციონალიზაცია. პოტენციური თაღლითი ამართლებს დანაშაულს თაღლითობის ჩადენამდე. მაშნაც კი როდესაც სახეზეა შესაძლებლობა და ფინანსური ზეწოლა ბევრი თაღლითი საჭიროებს თავიანთი ქცევის გამართლებას, რომ არ გამოჩნდნენ სოციალურად დევიანტურები. უამრავი მათგანი ზოგადად კანონმორჩილი მოქალაქეა, მორალური სტანდარტების მატარებელი, რაციონალიზაცია კი არის გასაღები იმისა რომ მიიღოს ჩადენილი. მაგ. ჭირდება ფული ოჯახისთვის, ფიქრობს, რომ ცუდად ეპყრობა დამქირავებელი, რომ კომპანია იღებს ძალიან ბევრ ფულს მათი მუშაობის ხარჯზე და ა.შ.[52]

გლობალური კაპიტალის ბაზრების გრძელვადიანი ინტეგრაცია ამერიკული ბიზნესისთვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქმნის კაპიტალსა და ინვესტორებზე მათი პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით. თუ არა ინდივიდუალური საბროკერო ანგარიშების, კოლეჯის დანაზოგების გეგმები, ან საპენსიო ანგარიშები, უფრო და უფრო მეტი ამერიკელები ირჩევენ ინვესტირებას აშშ ფასიანი ქაღალდებითა და სასაქონლო ბაზრებზე. ეს ზრდამ გამოიწვია ამ ბაზრებზე დაფიქსირებული თაღლითობისა და გადაცდომის თანხა. კომპლექსური საინვესტიციო სატრანსპორტო

[52] http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html, ბოლოს გამოხმობილია 11.06.2019

საშუალებების შექმნასა და ინვესტიციების განხორციელებისას უზარმაზარ ზრდამ შექმნა მეტი შესაძლებლობები კერძო პირებისა და ბიზნესისთვის, რათა ჩაიდინოს თაღლითური საინვესტიციო სქემები.
შემდეგი არის ყველაზე გავრცელებული ფასიანი ქაღალდები და საქონელი თაღლითობის სქემები.

FBI გასულ წელს საინტერესო კვლევას აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე. გავრცელებული ინფორმაციით, 1939 წელს ტერმინი თეთრსაყელოიანთა დანაშაული სინონიმია ბიზნესმენებისა და მაღალჩინოსანთა პროფესიონალების მიერ ჩადენილი თაღლითობას სრული სპექტრით. ეს დანაშაული ხასიათდება მოტყუებით, დაფარვით ან ნდობის დარღვევით და არ არის დამოკიდებული ფიზიკური ძალაზე ან ძალადობის გამოყენებაზე. ამ დანაშაულების მთავარი მოტივაციაა ფინანსები - ფულის, ქონების ან მომსახურების დაკარგვა ან თავიდან აცილება ან პირადი ან საქმიანი უპირატესობის უზრუნველყოფა. FBI-ს თეთრსაყელოიანთა დანაშაულებრივი საქმიანობა აერთიანებს - დაზვერვის ანალიზს სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედებების, როგორიცაა: კორუფციის, ფულის გათეთრების, კორპორატიული თაღლითობის, ფასიანი ქაღალდების, სასაქონლო თაღლითობის, იპოთეკური თაღლითობის, ფინანსური ინსტიტუტის თაღლითობის, საბანკო თაღლითობის, გაფლანგვის, ხელისუფლების წინააღმდეგ თაღლითობის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევები, მასობრივი მარკეტინგის გაყალბება და ჯანდაცვის გაყალბება. FBI ზოგადად ყურადღებას ამახვილებს კომპლექსურ გამოძიებაზე, ხშირად ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით რომლებიც საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონალური სფეროა, FBI- ს შეუძლია მიიღოს უნიკალური ექსპერტიზა ან შესაძლებლობები, რაც გაზრდის წარმატებული გამოძიების ალბათობას.[53]

კვლევა განიხილავს რა სამოხელეო დანაშაულებს და მისი ჩადენის ერთ-ერთ ხერხად ასახელებს თაღლითობას. ამ დანაშაულის ნაირსახეობად გამოყოფს საინვესტიციო თაღლითობას. დანაშაულის სქემები - ზოგჯერ მოხსენიებული, როგორც "მაღალ სარგებლიანი საინვესტიციო თაღლითობა". ტიპიური საინვესტიციო თაღლითობის სქემები ხასიათდება დაბალი ან ნაკლებად რისკის მქონე ინვესტიციების, გარანტირებული შემოსავლების, ზედმეტად თანმიმდევრული ბრუნვების, კომპლექსური სტრატეგიების, ან დარეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზებით. ეს სქემები ხშირად ცდილობენ შეინარჩუნონ ე.წ affinity ჯგუფები, როგორიცაა ჯგუფები საერთო რელიგიით ან ეთნიკური ერთობით - გამოიყენონ მათი საერთო ინტერესები ნდობის გაზრდის მიზნით და ამის საშუალებით ეფექტიანად განახორციელონ საინვესტიციო თაღლითობა. დამნაშავეებს ჰყავთ პროფესიული

[53] https://www.fbi.gov/investigate/white-collar-crime ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

საინვესტიციო მრჩევლები. ისინი ენდობიან მათ და ყოველდღიურად ურთიერთქმედებენ იმ პირებთან ერთად, როგორიცაა მეზობელი ან სპორტული მწვრთნელი. თაღლლითს შეუძლია მოიპოვოს მსხვერპლის ნდობა და დაარწმუნოს იგი თავისი სქემის წარმატებაში. ინვესტორებმა უნდა გამოიყენონ კვლევა და შეძლებისდაგვარად შეკრიბონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შესასრულებლად. FBI-მ კვლევაში წარმოადგინა რამდენიმე მაგალითი საინვესტიციო თაღლითობის სქემების ყველაზე გავრცელებული სახეობებისა:

ე.წ Ponzi სქემები: ეს სქემები მოიცავს ინვესტორებს, რომლებიც ინვესტიციას ახალი ინვესტორების მიერ დაფინანსებული თანხებიდან მიიღებენ. Ponzi სქემები ხშირად იზიარებენ საერთო საფონდო სურათს, როგორიცაა ზედმეტად თანმიმდევრული ანაზღაურება, არარეგისტრირებული ინვესტიციები, მაღალი ანაზღაურება მცირე ან ნაკლები რისკი, საიდუმლო ან რთული სტრატეგიები.

ე.წ პირამიდის სქემები: ამ სქემებში, როგორც Ponzi სქემებში, ახალი მონაწილეებისგან მიღებული ფული გადახდილია ძველი მონაწილეების სასარგებლოდ. პირამიდის სქემებში, მონაწილეები მიიღებენ კომისიებს ახალ სქემის ასაღებად. პირამიდის სქემები ხშირად იცვლება მრავალრიცხოვანი მარკეტინგული პროგრამებით.

პრაიმ-ბანკის საინვესტიციო თაღლითობა / სავაჭრო პროგრამა თაღლითობა: ამ სქემებში, დამნაშავეები აცხადებენ, რომ საიდუმლო სავაჭრო პროგრამით სარგებლობენ მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, როგორიცაა: ფედერალური სარეზერვო ბანკი, სახაზინო სამსახური, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ. დაზარალებულები ხშირად გაუაზრებლად ხვდებიან საინვესტიციო თაღლითობაში, რადგან დამნაშავეები იყენებენ დახვეწილ ტერმინებსა და იურიდიულ დოკუმენტებს და ასევე აცხადებენ, რომ ინვესტიციები დაზღვეულია ზიანისგან.

წინასწარი საფასურის გაყალბება: წინასწარი საფასურის სქემები ითხოვენ დაზარალებულებს, რომელთაც უფრო დიდი შემოსავლი აქვთ განხორციელონ წინასწარი გადახდა. როგორც წესი, დაზარალებულები ამბობენ, რომ ლატარიის საინვესტიციო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად ან ლატარიის / sweepstakes საწყისი პრიზი მიიღონ, ისინი პირველად აგზავნიან თანხებს ღირებულების დასაფარავად, ხშირად გადასცემენ საგადასახადო ან მონაწილეობის საფასური. პირველი გადახდის შემდეგ, დამნაშავე დამატებით თანხას მოითხოვს სხვა "დაუცველ" ხარჯებზე.

გაფრთხილების გაყალბება: ეს არის ზოგადად მოკლევადიანი დავალიანება, რომელიც გაცემულია ნაკლებად ცნობილი ან არარსებული კომპანიების მიერ. როგორც წესი, გპირდებიან მაღალი ანაზღაურების დაბრუნებას მცირე ან ნულოვანი რისკით. თაღლითებმა შეიძლება გამოიყენონ პირადული შენიშვნები მარეგულირებელი კონტროლის თავიდან ასაცილებლად; თუმცა ყველაზე promissory

notes არის ფასიანი ქაღალდები და უნდა დარეგისტრირდეს ფასიანი ქაღალდებითა და გაცვლითი კომისიით და იმ ქვეყნებით, სადაც ისინი გაიყიდება.

სასაქონელო თაღლითობა - ეს არის ნედლეული ან ნახევრად მზა საქონელი, რომელიც შედარებით ერთგვაროვანია და გაცვლით გაიყიდება (მაგ. ოქრო, ყვავილები, ფორთოხლის წვენი და ყავა). სასაქონლო მაქინატორების დამნაშავეები ინვესტორებს ყალბი პრეტენზიებისა და მაღალი წნევის ქვეშ მყოფი გაყიდვების ტაქტიკის მეშვეობით უბიძგებენ. ხშირად ამ გაყალბებებში, დამნაშავეები ქმნიან ხელოვნურ ანგარიშებს, რომლებიც ასახავს შემოთავაზებულ ინვესტიციებს, სინამდვილეში, ასეთი ინვესტიციები არ განხორციელებულა. ამის ნაცვლად, თანხა გადაჰყავთ დამნაშავეთა გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, ისინი შეიძლება ზედმეტად ვაჭრობდნენ მხოლოდ კომისიების გენერირებისთვის (ცნობილია, როგორც "ჭაობი"). ორი ჩვეულებრივი ტიპის საქონლის თაღლითობა მოიცავს ინვესტიციებს უცხოურ ვალუტაში (Forex) და ძვირფასი ლითონებისთვის (მაგ. ოქროსა და ვერცხლს).

საბროკერო გაფლანგვა: ეს სქემები გულისხმობს უკანონო და არაავტორიზებული ქმედებებს ბროკერების მიერ პირდაპირ კლიენტებისგან. ასეთი სქემები ხელს შეუწყობს კლიენტის დოკუმენტების გაყალბებით, ანგარიშის დებულების დოქტორის, არასანქცირებული სავაჭრო / სახსრების გადარიცხვის ღონისძიებების ან სხვა ქცევის დარღვევის შედეგად დაზარალებულ კლიენტს ბროკერის სავალდებულო ვალდებულებების დარღვევით.[54]

თაღლითობის მოტივაციის შესწავალა არამხოლოდ იმის გაგებაში ეხმარება ორგანიზაციბს თუ რატომ და როგორ ხდება თაღლითობა, არამედ ასწავლის მათ მიიღონ ის ზომები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს გაყალბებას.

ახალი თანამშრომლების წინა სამსახურეობრივი ისტორიების გაცნობა მხოლოდ მცირე როლს თამაშობს, რადგან თაღლითების უმრავლესობა ამ ტიპის დანაშაულს ჩადის პირველად. ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ რომ ყველას აქვს შესაძლებლობა ამ დანაშაულის ჩადენისა და მხედველობაში მიიღონ ეს რისკი.

თაღლითობის სამკუთხედის 2 ელემენტი ზეწოლა და რაციონალიზაცია შინაგან ფაქტორებად ითვლება და მეტწილად ორგანიზაციის კონტროლს გარეთაა, ამიტომ ყველაზე დიდი ძალისხმევა მესამე ელემენტზე - შესაძლებლობაზე უნდა ფოკუსირდეს.

როგორც წესი მენეჯერები პასუხისმგებლები არიან ფართო სპექტრის ორგანიზაციებზე. ეს ფაქტორი მეტად უბიძგებს მათ თაღლითობისკენ. სათანადო ზედამხედველობა და ხშირი ვიზიტები სათაო ოფისსში დაეხმარებათ ორგანიზაციებს თაღლითბის რისკის შემცირებაში , ამავდროულად ეს პროცესი გავლენას ახდენს რაციონალიზაციის შენცირებაზეც, რადგან მათ მოუწევთ ხშირად ჩახედონ თვალებში პოტენციურ მსხვერპლს.

[54] https://www.fbi.gov/investigate/white-collar-crime ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც რაციონალიზაციას უკავშირდება მდგომარეობს შემდეგში:

როდესაც კომპანია ცდილობს ძლიერი, ეთიკური კორპორატიული კულტურის შენებას რაციონალიზაციის პროცესი რთულდება. იმისათვის რომ შექმნილმა ეთიკურმა წესებმა რეალურად გავლენა მოახდინონ თანამშრომელთა ქცევებზე საჭიროა მთელი ორგანიზაცია ერთ გუნდად იყოს შეკრული და თითოეულ წევრს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდეს.

თამაშრომელბის ფინანსური ზეწოლისგან დაცვა კიდევ ერთი შემაკავებელი ფაქტორია, მათ არ უნდა დაუსახონ ისეთი ფინანსური მიზნები რომელთა შესრულება რეალობასაა მოკლებული.

საბოლოო ჯამში კი ყველა ეს პირობა ერთად ღებული ამცირებს თეთრსაყელოიანთა დანაშაულის რისკებს.[55]

კვლევის შედეგად გამოვლინდა 4 ტიპის ორგანიზაცია, რომელიც აძლიერებს, განამტკიცებს კრიმინალური ქცევის, კერძოდ თაღლითობის გამოვლენის ალბათობას. ეს კლასიფიკაცია დამყარებულია კორპორაციებში არსებულ პრაქტიკასა და პოლიტიკაზე.

1. პირველი ტიპის ორგანიზაციაა, ის ორგანიზაცია, რომელიც იმართება დაბალი პოზიციის მიერ. ამ ორგანიზაციაში ყურადღების ფოკუსი მიმართულია მოგებისკენ, საქმიანობა ფასდება მხოლოდ მისი ღირებულების მიხედვით. აღნიშნული ტიპის ორგანიზაციის თანამშრომლების თქმით, ორგანიზაციაში მსგავსი პოლიტიკა მათ თაღლითობისკენ უბიძგებს;

2. მეორე ტიპის ორგანიზაციად, დასახელებულია ორგანიზაცია, სადაც თაღლითობა ხდება კომპანიის მართვის გეგმის გაუმართავობის, შეუსაბამობის გამო. გამოკითხულთა 26.7% აღნიშნავდა, რომ კომპანიაში ძლიერი გეგმის არ არსებობა მას მიმღებლურს და ლოიალურს ხდის თაღლითობის მიმართ.

3. გამოკითხულთა 31%ის მიხედვით, ორგანიზაციის მესამე ტიპი, რომელიც აძლიერებს კრიმინალური ქცევის გამოვლინებას ხასიათდება ორგანიზაციაში დაბალი შინაგანი კონტროლით. როგორც წესი, ამგვარ კომპანიებში აღმასრულებელი დირექტორი არის სუსტი, არ ხასიათდება ლიდერის თვისებებით, ხოლო მომუშავე პერსონალი არ არის სატანადოდ კვალიფიციური.

4. 24 % კი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაციათა მეოთხე ტიპს აქვს არა მყარი, ჩამოუყალიბებელი ორგანიზაციული კულტურა. ამ ორგანიზაციაში ბუნდოვანია რომელი ქცევაა მისაღები და რომელი მიუღებელი. ამიტომ ამგვარი კომპანია გაუაზრებლად ქმნის კრიმინალური ქცევის განხორციელების პირობას.[56]

---

[55] http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

[56] იხ. იქვე

3.2 დანაშაულის ჩადენა ანგარებითი მოტივით

იურიდიულ ლიტერატურაში მოტივისა და მიზნის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური, სათანადოდ დაუმუშავებელი საკითხია. სამართლებრივი აზროვნების სფეროში კაცობრიობის უდიდეს მიღწევად ითვლება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება. ბრალეული პასუხისმგებლობის სრულყოფილი ანალიზი ყოვლად შეუძლებელია ნებელობითი ანალიზის გარეშე, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს მოტივისა და მიზნის არსის რაციონალურ და დასაბუთებულ გააზრებას.[57] დვალიძე თავის ნაშრომში განმარტავს, რომ ყოველ ქცევას ერთი მოტივი აქვს. თუკი დანაშაული მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია, მაშინ ლოგიკურია თი ვიტყვით, რომ ერთგვაროვანი მოტივით შეიძლება სხვადასხვა დანაშაული განხორციელდეს.აღსანიშნავია, ნაჭყებიას მოსაზრება რომელსაც დვალიძეც იზიარებს, რომ „შესაძლებელია ერთი და იმავე მოტივით თვისებრივად სხვადასხვა და ა.შ ანგარებითი მოტივის განხორციელების ხერხებია, მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანებები, ცეცხლის წაკიდება და სხვა შურისძიების განცორციელების ხერხებია და ა.შ. [58]დანაშაულის ჩადენა“. მაგალითად: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობასისხლის სამართალში. როდესაც ანგარებაზე ვსაუბრობთ მისი ამოსავალი ჯერ კიდევ რელიგიაში უნდა ვეძებოთ. წმიდა წიგნის სწავლება რადიკალურად განსხვავდება იმ შეხედულებებისგან რაც ადამიანებს დროთა განმავლობაში თავიანთი ხორციელი ცხოვრების განმავლობაში უყალიბდებათ. სახარებაში უფალი გვმოძღვრავს: განაბნიეთ და მიეცით გლახაკებს და რომ ჩვენმა მარჯვენამ ისე გასცეს, არ იცოდეს მარცხენამ.[59] საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ანგარებისმოყვარე ადამიანსაც უყვარს გაცემა, მაგრამ ეს მხოლოდ კაცთმოთნეობით, პატივმოყვარეობით, სხვათა თვალის დასანახად შეიძლება სრულდებოდეს. მისი სურვილია, ადამიანებს მასზე დადებითი წარმოდგენა შეექმნას და როდესაც მის შინაგან ცხოვრების წესს დავუკვირდებით, დავინახავთ, ეს ადამიანი მოჩვენებითად და ფარისევლურად აკეთებს ამ სიკეთეს. შინაგანად ის ყოველთვის მწუხარეა, დაბოღმილია. ასეთი ადამიანის საქციელი გარშემომყოფთა თვალში, ვინც დაუკვირდება ყოველთვის მუღავნდება.

ხშირად ანგარებისმოყვარე ადამიანი ქონების შეგროვების მიზეზად სიმდიდრის კეთილ საქმეში გამოყენებას ასახელებს, მაგრამ როგორც კი სიმდიდრეს შეიძენს, შემდეგ იმდენად უჭირს მოწყალების გაცემა, რომ მასში უანგაროდ სიკეთის გაკეთებისა და გაცემის კულტურა სრულიად კვდება.[60]

---

[57] ი. დვალიძე, მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის დოქტრინაში, 2007 წ.

[58] იხ. იქვე.

[59] http://www.ambioni.ge/ ბოლოს გამოხმობილი 14.06.2019

[60] იხ.იქვე

დამტკიცებულია, რომ სიხარბე არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ლიდერი თეთრსაყელოიანი დამნაშავეები ერთვებიან დანაშაულებრივ ქმედებებში. კვლევის მონაწილე ყველა პროკურორი მოტივებად ასახელებდა ფულს, ფინანსურ სარგებელს და სიხარბეს. ასევე მიუთითებენ სიამაყეზე, ამპარტავებაზე, კონკურენტუნარიანობასა და რაციონალიზაციაზე, როგორც კრიმინალური ქცევის მოტივებზე. კვლევის მონაწილეთა გარკვეული კატეგორია აღნიშნავდა, რომ ლიდერ კრიმინალებს ეშინიათ ცხოვრების სტილის, სამსახურის დაკარგვისა და წარუმატებლობის. ამგვარი შიში უიმედობა ქრება და მას ფარავს ინდივიდის შინაგანი მორალური ორიენტაცია. (?) სხვა თვალსაზრისით, ისინი განიცდიან თანამდებობრივად მათზე მაღლა მდგომი ინდივიდების ზეგავლენას, რათა მიიღონ ფინანსური სარგებელი. ინტერვიუს დროს გამოკითხულთა მხოლოდ 5% ასახელებდა ლიდერი თეთრსაყელოიანების მოტივად ამორალურ და ავ სურვილებსა და მოთხოვნილებებს.

მაგალითად, განვიხილოთ უოლს პავლო (Walt Pavlo) კრედიტ კოლექციის მენეჯერი კომპანია „MCI Telecommunications-ში“. მისი მოვალეობა იყო სოლიდური კომპანიების მიერ აღებული კრედიტების დაბრუნების მონიტორინგი, ეს არ იყო ადვილი სამუშაო, მოითხოვდა მაღალგანვითარებულ კოგნიტურ უნარებს და განათლებას. პავლოს ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი ინდუსტრიულ ინჟინერიასა და მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. ის იყო ქერა, სიმპათიური გარეგნობის, სკოლაში/კოლეჯში წარმატებული სპორტსმენი, ყავდა მეუღლე და ორი შვილი, ცხოვრობდა პრესტიჟულ უბანში, მდიდრულ სახლში. მას შეექმნა სამსახურის დაკარგვის საშიშროება, რის გამოს გააყალბა/ „გატეხა“ კომპანიის სადებეტო „ექაუნთები“ და უკანონოდ მიითვისა 6 მილიონი ა.შ.შ. დოლარი. რის გამოც 1995 წელს დააპატიმრეს, და აღიარა, რომ მისი ქცევის მთავარი მოტივი იყო პრესტიჟის დაკარგვის შიში და სიხარბე. მან ციხეში გაატარა 41 თვე და გამოსვლის შემდეგ, 41 წლის ასაკში გაშორდა ცოლს, ცხოვრობდა მშობლებთან ერთად და ეძებდა სამსახურს.

კვლევის პროცესში გამოკითხეს თავად უოლტ პავლო. მას ჰკითხეს თაღლითობის მიზეზის შესახებ. მისი თქმით მთავარი მოტივაცია იყო, დიდი ფინანსური მოგება და ცხოვრების გაუმჯობესების პერსპექტივა.[61]

ანგარებით მოტივთან ერთად კანონმდებელი სამოხელეო დანაშაულთა ჩადენის მოტივად პირად მოტივებსაც ასახელებს. ეს ცნება საკმაოდ სუბიექტურია და შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს. შესაძლებელია დანაშაულის ჩამდენს სულაც არ ჰქონდეს ფულადი სარგებლის მიღების სურვილი და პირად მოტივებს უკავშირებდეს დანაშაულის ჩადენას, მაგალითად, შურისძიებას.

[61] http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html ბოლოს გამოხმობილია 15.06.2019

3.3 "ლურჯსაყელოიანთა დანაშაული" , როგორც მონათესავე კრიმინალური ქმედება

ლურჯსაყელოიანები - ტერმინი გამოიყენება ფიზიკური შრომისა და მომსახურების სფეროს (თუმცა, ამ უკანასკნელთ ზოგჯერ რუხსაყელოიანთა სახელითაც მოიხსენიებენ) მუშაკთა აღსანიშნავად და მუშათა კლასის სინონიმია.[62] ლურჯსაყელოიანთა დანაშაული ესაა დანაშაულები, რომლებიც გარკვეულწილად უფრო აშკარა და ადვილად გამოვლენილია პოლიციის მიერ. ისინი მეტწილად გულისხმობენ ფიზიკურ ძალასა და საფრთხეს, რაც დაუყოვნებლივ აშკარას ხდის დამნაშავის ქმედებას. ლურჯსაყელოიანთა დანაშაული ხშირად ასოცირდება ისეთ გეოგრაფიულ რეგიონებთან, რომელთა მაცხოვრებლებიც დაბალი შემოსავლით ხასიათდებიან ან საზოგადოებრივი პრობლემები აწუხებთ.

ლურჯსაყელოიანთა დანაშაული ჩვეულებრივ განსხვავდება თეთრსაყელოიანი დანაშაულისგან. ეს უკანასკნელი მოიცავს კორპორაციულ ან საქმიანი ბუნების დანაშაულს. ეს შეიძლება იყოს ისეთი საქმიანობა, რომელიც შერეულ იურიდიულ საქმიანობას უკავშირდება, მაგრამ კვლავ ხასიათდებაა დარღვევებით. დანაშაული ვლიდება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა: საგადასახადო ანგარიშგება და ბუღალტერია. თეთრსაყელოიანთა დანაშაულები, ლურჯსაყელოიანთან შედარებით ხშირად უფრო ძნელად გამოსავლენია და ნაკლებად ხდება პოლიციის ორგანოების ინფორმირება.[63] ბუნებრივად დაისმება შეკითხვა თუ რა შეიძლება განვიხილოთ ლურსაყელოიანთა დანაშაულს კლასკურ მაგალთად. გამომდინარე იქიდან რომ დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია უმეტესწილად ვხვდებით კრიმინალის ისეთ სახეს რომელიც ეკონომიკურ პრობლემას უკავშირდება. ასეთი შეიძლება იყოს მაღაზიის გაქურდვა, ძარცვა, ვანდალიზმი, თავდასხმა. მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა და სხვა ეკონომიკური ფაქტორები დამნაშავეს უბიძგებს ჩაიდინოს დანაშაული და მოიპოვოს დღიური სარჩო. აღვნიშნეთ, რომ ასეთი ტიპის დანაშაულები მარტივად გამოსავლენია. ამას თავისი ახსნა აქვს. ლურჯსაყელოიანიი დამნაშავე არ არის გამოცდილი კრიმინალი, მას არ აქვს კარგად შემუშავებული სქემა დანაშაულის ჩასადენად. იგი მხოლოდ იმაზეა ორიენტირებული თუ როგორ მოიპოვოს დღიური თანხა თავის გასატანად. არაპროფესიონალი დამნაშავე მარტივად საცნობია და პოლიციის ხელში ადვილად ვარდება. მათგან განსხვავებით თეთრაყელოიან დამნაშავეს მისი ავტორიტეტი სძენს პროფესიონალიზმს. „დამბეზღებელიც" ნაკლები ყავს. მისი

---

[62] **სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი**; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4&d=HASH01419ae995c3da5136352433&gt=2 ბოლოს გამოხმობილია 11.06.2019

[63] https://www.legalmatch.com/law-library/article/what-is-blue-collar-crime.html ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

ავტორიტეტი მის ხელქვეითებს შიშის გრძნობას უნერგავს, რომ თუ მის ფარულ დანაშაულებრივ ქმედებას გაუმჟღავნებს სამართალდამცავებს, მაშინ დაკარგავს სამსახურს, ან დაემუქრება ისეთი ფორმით რომ არ გაუჩნდეს „უფროსის“ მხილების სურვილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლურჯსაყელოიანთა დანაშულები ბოლო ათწლეულებში ინტერნეტიზაციისა და ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში სულ უფრო იხვეწება. ახალი დანაშაული სახეებად ჩამოყალიბდა საკრედიტო თაღლითობა და ინტერნეტ თაღლითობა. სოციალურ ქსელებში და სხვადასხვა ინტერნეტ გვერდებში შევხვდებით ე.წ „ონლაინ მაღაზიებს“, რომელთა დახმარებითაც არაერთი სასურველი ნივთის გამოწერაა შესაძლებელი. ხშირად ასეთი ვებ გვერდების უკან დამნაშავეები არიან ჩასაფრებულნი. სასურველი ნივთის გამოწერის სანაცვლოდ მომხმარებელს სთხოვენ თანხის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ ჩარიცხვას. მოგვიანებით ეს ინტერნეტ გვერდი შეიძლება სულაც გაქრეს ვებ სივრციდან. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ინტერნეტ თაღლითობასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული ტიპის დანაშაული შესაძლებელია, რომ ერთობლიობაში განვიხილოთ კიბერკრიმინალთან.

საინტერესოა გადავხედოთ ისტორიას და ვნახოთ საიდან იღებს სათავეს ლურჯსაყელოიანთა დანაშაულები და როგორ ფორმირდნენ ისინი თეთრსაყელოიანთა გვერდით. ნიქსონმა პოპულიზმის განახლებულ მეცნიერებას რესპუბლიკური პარტია აზიარა და მოწინააღმდეგეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მარცხი აწვნია. მისმა სამხრეთულმა სტრატეგიამ ამერიკის პოლიტიკური ლანდშაფტში ტექტონური ცვლილებები გამოიწვია.

ღირებულებების ირგვლივ ამომრჩევლის გახლეჩვით გამოთავისუფლებული ენერგია ნიქსონის გენიის მიერ აღმოჩენილი პოლიტიკური ბრძოლის ახალი მძლავრი იარაღი გახდა. კულტურა "პოზიტიური პოლარიზაციის" მეშვეობით მან მასების მობილიზაციის სწორუპოვარ საშუალებად აქცია.

მოშლილი ტრადიციებით, შერყეული ზნეობით, მზარდი დამნაშავეობით, პოლიტიკური რადიკალიზმით გამოწვეული საშუალო კლასის უკმაყოფილება და რაც მთავარია, შიში ნიქსონისეული "ძალის ბნელი მხარე" იყო.

ნიქსონისგან პოლიტიკური ნათლობის მიღების შედეგად, თვითკმაყოფილი ელიტებისა და მეინსტრიმული მედიის მიერ რასიზმისა და სექსიზმის იარლიყმიწებებული და იგნორირებული "მდუმარე უმრავლესობა" მძლავრ ელექტორალურ ძალად იქცა. 70–იანების ბოლოს ის "მორალური უმრავლესობის" სახით გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ხოლო ათასწლეულთა მიჯნაზე "ღირებულებათა ამომრჩევლად" ტრანსფორმირდა.

ამ ბლოკმა გადამწყვეტი როლი ითამაშა რესპუბლიკელთა არა ერთ პოლიტიკურ გამარჯვებებში – 2004 წელს საპრეზიდენტო კანდიდატისადმი მხარდაჭერის განმაპირობებლი ფაქტორი ამომრჩეველთა 22%–სათვის მორალური ფასეულობები იყო, ეკონომიკა და დასაქმება – 20%, ტერორიზმი – 19%, ერაყი –15%, ჯანდაცვა – 8%, გადასახადები – 5%, განათლება – 4%.

მაგრამ დროსთან ერთად საშუალო კლასის დემოგრაფიული კონფიგურაცია ნელ–ნელა იცვლება. ფერმერებისა და ლურჯსაყელოიანი მშრომელების ხვედრითი წილის შემცირების პარალელურად სულ უფრო იზრდება თეთრსაყელოიანი ცოდნის მუშაკების რიცხვი. თავად ლურჯსაყელოიანთა შორის კი გენდერული ბალანსის ჩანაცვლება სულ უფრო მეტად ქალების სასარგებლოდ ხდება.

60–იან წლებში დაწყებული საგანმანათლებლო რევოლუციის შედეგად უნივერსიტეტების ხელმისაწვდომობა მკვეთრად გაიზარდა. ყოფილი ჰიპები და მეამბოხეები პროფესორებად იქცნენ.[64]

ლურჯსაყელოიანთა დანაშაულების მიმართ არსებული ტენდენციები, ძირითადად, არასწორია. ეს დანაშაულები, ზოგადად, ისეთივე სერიოზული არ არის, როგორც სხვა სახის დანაშაულები, როგორიცაა ორგანიზებულ დანაშაულებთან დაკავშირებული კრიმინალი, იარაღით ჩადენილი დანაშაული, რომელთაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვა ან ნარკოტიკული დანაშაული. ამის ნაცვლად, ამდენად ლურჯსაყელოიანთა დანაშაული არის საშუალო, სამუშაო კლასის მქონე პირის მიერ ჩადენილი ქმედება და სასჯელიც ქმედების პროპორციულია.

სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ჯარიმები, ხანმოკლე დაპატიმრება, (როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე დღიდან მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში). მეორეს მხრივ, ზოგიერთი ლურჯსაყელოიანთა დანაშაული შეიძლება ხასიათდებოდეს სერიოზული სისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვიის გათვალისწინებული ბრალდებით. ეს შეიძლება შეიცავდეს სიტუაციებს განმეორებითი დამნაშავეების, სასიკვდილო იარაღის გამოყენება ან დანაშაულებები, რომლებიც მსხვერპლს სერიოზულ ზიანს აყენებენ.[65]

---

[64] http://www.tabula.ge/ge/story/136240-levan-ramishvili-tavisuflebis-chiraghdani-da-amerikuli-eqsperimenti ბოლოს გამოხმობილია 12.06.2019

[65] https://www.legalmatch.com/law-library/article/what-is-blue-collar-crime.html ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

4. ლატენტურ დანაშაულთა სიმრავლე და გამოვლენის მექანიზმები

ლატენტურ დანაშაულებს ვუწოდებთ ისეთი ტიპის დანაშაულებს, რომლებიც პოლიციის ორგანოთათვის უცნობი დარჩა, არ დაწყებულა მათზე სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისად არ დასჯილა დანაშაულის ჩაამდენი პირი. ასეთი ტიპის დანაშაულები განსაკუთრებით საშიშია და აჩენს რისკს იმისა, რომ დამნაშავეს კვლავ გაუჩნდება სურვილი ახალი დანაშაულის ჩადენისა. დამნაშავისათვის ერთგვრ წამახალისებელ ფაქტორს წარმოადგენ ის ფაქტი, რომ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მისი ქმედება შეუტყობინებელი დარჩა და ვერ მოხდა მისი აღრიცხვა. ლატენტურ დანაშაულებს უმეტესწილად ვხვდებით არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის. როდესაც მათი ასაკის ან უბრალოდ ხელის დაფარების გამო დანაშაულიდ ფაქტი არ ხდება ცნობილი პოლიციელთათვის და დამნაშავის ქმედება დაუსჯელი რჩება. არანაკლებ ხშირია ლატენტურ დანაშაულთა შემთხვევები სამოხელეო დანაშაულთა შორის.

ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გახმაურებულ საქმეს წარმოადგენს ხორავას ქუჩის მკვლელობის საქმე, რომელიც სწორედ ამ სახელით შევიდა სასამართლოს ისტორიაში. ყურადღებას იპყრობს სახალხო დამცველის ანგარიში, რომლის თქმითაც აღნიშნულ საქმეში სახეზე იყო სამოხელეო დანაშაულის ერთ–ერთი ან ორივე შემადგენლობა: სამსახურებრივი გულგრილობა, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, - ამის შესახებ სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშშია ნათქვამი. როგორც საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ომბუდსმენის აპარატის 2018 წლის ანგარიშშია აღნიშნული, საქმის მასალების სრულად შესწავლასთან ერთად, სახალხო დამცველმა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მიერ პროკურორთა და გამომძიებელთა დაკითხვებიც მოისმინა. სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ გამოძიების ტაქტიკა შესაძლოა არ ემსახურებოდა დამნაშავეთა გამოვლენის საჯარო ინტერესს.ანგარიშში ნათქვამია, რომ აღნიშნულ საქმეზე სახეზე იყო სამოხელეო დანაშაულის ერთ–ერთი ან ორივე შემადგენლობა: სამსახურებრივი გულგრილობა, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, იმის მიხედვით სუბიექტური მხარის რა ნიშნები იკვეთება ქმედებათა უკან – განზრახ არაეფექტიანი გამოძიება თუ გაუფრთხილებლობა, არაპროფესიონალური მიდგომა ან/და ზერელე

დამოკიდებულება დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად," - ნათქვამია ანგარიშში.[66]

სამოხელეო დანაშაულები სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ჩვენს ირგვლივ და მათი გამოძება სათანადო ფორმებით ახდება. პრობლემა გვაქვს როგორც გამოვლენის მექანიზმებთან ისე გამოძიების სწორად წარმართვასთან. შედეგად კი გვრჩება ლატენტურ დანაშაულთა სიუხვე.

ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულთა გამოიძიება და ზოგადად გამოძიების დროს გამოსაყენებელი ხერხები. საქართველოს პარლამენტი განიხილავს მთავრობის ინიციატივას „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-2/265; 25.10.2018)[67], რომლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ყველა სამოხელეო დანაშაულზე უნდა გავრცელდეს. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების მიზანია კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის გაძლიერება. კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანა და გამოწვევაა, თუმცა აღნიშნული საკანონდებლო ცვლილებები არ წარმოადგენს მიზნის მიღწევისათვის ეფექტურ, შესაფერის და თანაზომიერ საშუალებას და შეიცავს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების შელახვის დაუსაბუთებელ რისკს.

წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით, რამდენიმე ძირითადი საკითხზე გაამახვილა პარლამენტმა ყურადღება, პირველი და უმთავრესია ის, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება ყველა სამოხელეო დანაშაულზე, მათ შორის გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზეც, დაუშვებელია.მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ვრცელდება მხოლოდ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე და ასევე, გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე, რომელიც საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიშ ქმედებას წარმოადგენს. 2014 წელს, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირდა, დისკუსიის და განხილვის საგანი იყო თითოეული დანაშაული, რომელზეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები უნდა გავრცელებულიყო. კანონი საბოლოოდ ევროპელ ექსპერტთა ჩართულობით შემუშავდა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა. ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელების აუცილებლობა თითოეულ მუხლთან მიმართებაში უნდა იყოს

[66] https://www.interpressnews.ge/ka/article/539779-saxalxo-damcveli-xoravas-kuchis-sakmeshi-saxeze-iqo-samoxeleo-danashauli-samsaxurebrivi-gulgriloba-an-samsaxurebrivi-uplebamosilebis-borotad-gamoqeneba/ ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

[67] http://parliament.ge/ge/ ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

დასაბუთებული . ფარული საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვას და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული მათი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენება. საყურადღებოა ისიც, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა გავრცელება სამოხელეო დანაშაულთა მთლიან თავზე წინააღმდეგობაში მოდის ამ ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმებთანაც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებითმძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარკვეული დანაშაულების მიმართ. აღნიშნული რეგულაციების თანახმად, დაუშვებელია გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, თუნდაც ეს მძიმე დანაშაული იყოს. წარმოდგენილი კანონპროექტით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება შესაძლებელი იქნება სამოხელეო დანაშაულების თავში მოქცეულ ნაკლებად მძიმე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზე, რაც, კანონის ლოგიკისათვის მიუღებელია. საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) და 342[1](სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, რომელთა სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს ამ დანაშაულთა ჩადენას მხოლოდ გაუფრთხილებლობით („შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო“). [68]აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ დანაშაულების ნაწილში, დაუშვებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამოძიებო მოქმედების ინსტიტუტის შემოღება მნიშვნელოვანი პროგრესი იყო. აღნიშნული ცვლილებები თავის დროზე მაქსიმალურად მიისწრაფვოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართლით დადგენილი ძირითადი სტანდარტების დაცვისკენ. ECHR-ის[69] პრაქტიკით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ლეგიტიმაციას, სხვა ძირითად კრიტერიუმებთან ერთად დიდწილად განსაზღვრავს ცალკეული დანაშაულების კატეგორიები და მისგან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი

[68] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=208 ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019
[69] ECHR - European Court of Human Rights

ქმედების ხასიათი *(მაგალითისთვის იხ: HUVIG v. FRANCE, Application no. 11105/84; VALENZUELA CONTRERAS v. SPAIN 58/1997/842/1048).*[70] სტანდარტებით განმტკიცებული კრიტერიუმები ბოჭავს სახელმწიფოს შესაძლებლობას ფარული მოსმენების მეშვეობით ნებისმიერ დროს აკონტროლოს საზოგადოება და განსაკუთრებულ ფარგლებში აქცევს ამ ინსტრუმენტის გამოყენებას. აღნიშნული ცვლილების განხორციელება კოდექსში გაუმართლებლად გააფართოვებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებს და შექმნის საშიშ პრეცედენტს მასში სამომავლო ცვლილებების განსახორციელებლად. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი რაზეც ყურადღება შეაჩერა პარლამენტმა, ესაა ის, რონ საკანონმდებლო ცვლილებები კორუფციასთან ბრძოლის არაეფექტურ და შეუსაბამო გზას წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის მიზნით არ შეიძლება გამართლებული იყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაუსაბუთებელი გავრცელება სამოხელეო დანაშაულის მთელ თავზე. კორუფციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საქართველოს არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მისცა რეკომენდაციები, თუმცა მათ შორის არ გვხვდება რეკომენდაცია ყველა ტიპის სამოხელეო დანაშაულზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის 2018 წლის 14 ნოემბრის რეზოლუცია ხაზს უსვამს კორუფციული დანაშაულების გამოძიების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოყოფის და ცალკე, დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბების საჭიროებას. არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმ რისკებს, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კორუფციული დანაშაულების გამოძიებას და საჯარო სამსახურზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტოტალური კონტროლის გავრცელებას უკავშირდება. ამ ფონზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ყველა სამოხელეო დანაშაულზე გავრცელება განსაკუთრებული რისკის შემცველია. მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტი რაზეც კანონპროექტშია ყურადღება შეჩერებული არის ის, რომ საკანონდებლო ცვლილებები ცდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებს კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიღების მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების აღსასრულებლად ზოგადი ღონისძიების გატარება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (N72508/13) აღნიშნა, რომ მოსაპოვებელი იყო მობილური ოპერატორებისგან ელექტრონული ინფორმაცია ცალკეული პირების სატელეფონო კავშირების და მომსახურე ანძების შესახებ. სასამართლოს

[70] https://echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

გადაწყვეტილება შეეხებოდა ერთ კონკრეტულ დანაშაულს და ამ დანაშაულთან კავშირში საგამოძიებო მოქმედების გატარებას, რომელიც პირის სატელეფონო კავშირების და მომსახურე ანძების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას გულისხმობს. შესაბამისად კანონპროექტის მიღების მიზანშეწონილობისათვის სასამართლო გადაწყვეტილების არგუმენტად მოყვანა არამართებულია. ყველა სამოხელეო დანაშაულზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება ცდება გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს და ფარგლებს. მეოთხე საკითხია ის, რომ პარლამენტმა უნდა შეისწავლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულება და მხოლოდ მას შემდეგ იქნას შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები. ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმები 2014 წლიდან ამოქმედდა. მიზანშეწონილია შესწავლილი იქნას და გაანალიზდეს პრაქტიკაში რომელ მუხლებთან კავშირში და რამდენად ეფექტურად ხდება ამ ნორმების გამოყენება; ასევე, რამდენად დაცულად ინახება და დროულად ნადგურდება მოპოვებული მასალა; როგორ ხდება კანონის განმარტება და მისი პრაქტიკაში აღსრულება, როგორც ფარულ საგამოძიებო მოქმედედზე ასევე კომპიუტერულ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით. პრაქტიკაში არსებული ხარვეზების პირობებშიფარული საგამოძიებო მოქმედებების ნორმების გავრცელება სამოხელეო დანაშაულებზე, გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ პრობლემას პრაქტიკაში. ასევე არანაკლებ საინტერესოა ის გარემოება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ფრაგმენტული ცვლილებები არ უნდა განხორციელდეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი კანონმდებლობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტს და უხეშად ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, კამპანიის „ეს შენ გეხება“ ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს დავა მოცემული რეგულაციების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეგულაციების პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არ წარმოადგენს იმ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც შეიძლება პირდაპირი წვდომა ჰქონდეს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებზე და ქმნის რეალურ საფრთხეს იმისა, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავდეს უკანონოდ. მსგავსი არაკონსტიტუციური რეგულაციების პირობებში არსებობს საშიშროება, რომ ეს მექანიზმი შეიძლება არაკეთილსინდისიერად იყოს გამოყენებული საჯარო მოხელეთა წინააღმდეგ.

4.1. დანაშულის პრევენციის გზები

როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულს პრევენციის გზებზე პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქცით კანონმედებლობის სრულყოფას. უნდა არსებობდეს შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დასჯის ფორმები, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს და ასევე მოსამართლეს საშუალებას მისცემს სწორად დააკვალიფიციროს ესა თუ ის ქმედება და შესაბამისი პასუხი მოსთხოვოს დამნაშავეს. სრულყოფილი კანონმდებლობა და სათანადო დასჯის მექანიზმი აღარ აჩენს სურვილს დამნაშავეთა შორის ჩაიდინოს დანაშაული. საქართველომ 2008 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის რატიფიცირებით.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და ამ კონვენციის შემუშავებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ითავალისწინებენ ევროპის საბჭოს მიზანს მის წევრ სახელმწიფოთა შორის მტკიცე ერთობის მიღწევაზე, აღიარებენ კონვენციის ხელმომწერ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის დიდ მნიშვნელობას, დარწმუნებულნი არიან საზოგადოების კორუფციისგან დაცვისათვის, საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გატარების პრიორიტეტულობაში, სათანადო კანონმდებლობისა და პრევენციული ზომების მიღების ჩათვლით, ხაზს უსვამენ, რომ კორუფცია წარმოადგენს საფრთხეს სამართლის უზენაესობისათვის, დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის, საფუძველს უყრის კარგ მმართველობას, სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, ხელს უშლის კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. სჯერათ, რომ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა საჭიროებს ფართო, სწრაფ და კარგად ფუნქციონირებად საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივ საკითხებში, მიესალმებიან ბოლოდროინდელ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო ურთიერთგაგების და თანამშრომლობის განვითარებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის ღონისძიებების ჩათვლით, მხედველობაში იღებენ 1996 წლის ნოემბერში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების გეგმას, რომელიც თან მოჰყვა ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე-19 კონფერენციის რეკომენდაციებს (ვალეტა, 1994),

ყურადღებას აქცევენ ამ მიმართებით არა-წევრ სახელმწიფოთა მონაწილეობის მნიშვნელობას ევროპის საბჭოს საქმიანობაში კორუფციის წინააღმდეგ და მიესალმებიან მათ მნიშვნელოვან წვლილს შეტანილს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის განხორციელების საქმეში, ყურადღებას ამახვილებენ ევროპის იუსტიციის მინისტრთა 21 კონფერენციაზე (პრაღა, 1997) მიღებულ N 1 რეზოლუციაზე, რომელიც რეკომენდაციის სახით მიუთითებს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის სწრაფ განხორციელებაზე, და კერძოდ, რაც შეიძლება სწრაფ მიღებას სისხლის სამართლის კონვენციისა კორუფციაზე, რომელიც ითვალისწინებს კორუფციის დანაშაულთა კოორდინირებულ ინკრიმინაციას, გაძლიერებულ თანამშრომლობას ამ სახის დანაშაულების მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებაში და შემდეგ ეფექტურ მექანიზმს ხელმისაწვდომს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებისათვის თანაბრად, მხედველობაში იღებენ, რომ ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა 1997 წლის 10-11 ოქტომბერს სტრასბურგში ჩატარებულ მათ მეორე სამიტზე გადაწყვიტეს კორუფციის ზრდით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად საერთო გზების შემუშავება და მიიღეს მოქმედების გეგმა, რომელიც კორუფციასთან, ასევე ამ სახის დანაშაულის კავშირებთან ორგანიზებულ დანაშაულთან და ფულის გათეთრების დანაშაულთან, ბრძოლაში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მიუთითებს მინისტრთა კომიტეტს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის შესაბამისად საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების სწრაფი დასრულების უზრუნველყოფაზე.[71]

არასამთავრობო ორგანიზაციებში განმარტავენ, რომ სამოხელეო დანაშაულის შემცირების პრევენცია რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. ერთ-ერთ ასეთ გზად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან დაწესებულებებში შემოწმება სახელდება. ეს გზა კორუფციის შესაძლო შემთხვევების გამოძიების შესაძლებლობას იძლევა და ასევე, ასეთი შემთხვევების პრევენციის საშუალებასაც გვაძლევს.

[71] სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე https://police.ge/files/ევროპის%20საბჭოს%20კონვენციები/ქართულად/3.%20სისხლის%20სამართლის%20კონვენცია%20კორუფციაზე. ბოლოს გამოხმობილია 17.06.2019

მთავარი პრობლემა, რაზეც არასამთავრობოები საუბრობენ, ე.წ. „ელიტური“ კორუფციაა. ამ საკითხის მოგვარებას კი, სისტემური პასუხი სჭირდება, როგორც ამას NGO-ები განმარტავენ.[72]

არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის პოზიციაა შეიქმნას დამოუკიდებელი და ანტიკორუფციული სამსახური. ამაზე აქცენტს აკეთებს ევროპარლამენტი თავის რეზოლუციაში, სადაც ასევე ხაზგასმულ იქნა მაღალი დონის კორუფციის პრობლემა და ასევე, მოცემული იყო რეკომენდაცია, რომ ანტიკორუფციული სამსახური გამოეყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებლად და ჰქონდეს გამჭვირვალობის და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და ეს უნდა იყოს იმის წინაპირობა, რომ მაღალი დონის კორუფციული დანაშაულების თვალსაზრისით, ჩვენ გვქონდეს ეფექტური რეაგირების მექანიზმი.

ბუნებრივად დაიბადება კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ რა გამოცდილება არსებობს ამ კუთხით ევროპაში. ზოგადად რა ფორმებით ებრძვის კორუფციულ ელიტას ევროპის წამყვანი სახელმწიფოები. აქვთ თუ არა რაიმე განსაკუთებული რეცეპტი დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ. ლიტერატურაზე და კვლევებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ გამოცდილება ცალსახად არაერთგვაროვანია, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში. დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის გამოცდილება უკვე არსებობს ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში.ეს ქვეყნებია: ლატვია, ლიტვა, სლოვენია – ამ ქვეყნებში დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური საკმაოდ ეფექტურად და კარგად მუშაობს და ახდენს მაღალი დონის და ასევე, სხვა ტიპის კორუფციულ შემთხვევებზე რეგირებას. ასევეა მაგალითად, ჩვენი მეზობელი და მეგობარი სახელმწიფო – უკრაინა. მათ აქვთ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის გამოცდილებაც. ამ გამოცდილებამ გარკვეულწილად მოახდინა სისტემის გაჯანსაღება, თუმცა უკრაინაში პრობლემათა მთელი ერთობლიობა არსებობს, რომელთაც სისტემურად სჭირდებათ პასუხის გაცემა.

ის, რომ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი, სპეციალიზებული და ეფექტური სამსახური, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყნის დღის წესრიგისთვის აუცილებელი საკითხია. საქართველოში არსებულმა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ არ გვჭირდება ინსტიტუციური რეფორმა იმიტომ, რომ არსებული ინსტიტუციური მოწყობა ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც კორუფციასთან დაკავშირებით არსებობს.[73]

---

[72] იხ. იქვე

[73] https://fortuna.ge/fortuna/post/516-samokheleo-danashauli-3-tveshi-rogoria-sagangasho-statistikis-prevenciis-gzebi ბოლოს გამოხმობილია 17.06.2019

„ელიტური კორუფციის“ შემთხვევების გამოუძიებლობა კიდევ უფრო ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია არსებული სისტემის რეფორმირება, რადგან ის ვერ ახდენს მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებზე ეფექტურ რეაგირებას, რაც საზოგადოებაში აჩენს შეკითხვებს და ნეგატიურად აისახება საჯარო დაწესებულებების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. მეტიც, შესაძლო სამოხელეო დანაშაულის გამოუძიებელი შემთხვევები უფრო მეტად ახალისებს სამოხელეო დანაშაულს და ზიანს აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა თანხმდება, რომ აუცილებელია ისეთი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა, რომელსაც საზოგადოების ნდობა, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია ექნება იმისათვის, რომ გამოიძიოს მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები და პასუხი გასცეს დაგროვილ ლეგიტიმურ შეკითხვებს. [74]

4.2 ადგილობივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ანტიკორუფციული მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყველაზე აქტიური და მუდმივი თანამშრომლობა მას აკავშირებს ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილ კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO), ეკონომოკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპის საბჭოს ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობასთან (EaP) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთან კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის ფარგლებში (UNCAC). აღნიშნული ორგანიზაციები წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით აფასებენ საქართველოს კანონმდებლობასა და მის ანტიკორუფციულ პოლიტიკას, ხოლო შემდგომ შეფასების საფუძველზე შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს ამ მიმართულებით განსახორციელებელ საკანონმდებლო და/ან ინსტიტუციონალურ რეფორმებთან დაკავშირებით. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი მიმდინარეობს აღნიშნულ ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენის გზით.[75] საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის შეფასებისას, საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებს. OECD-სა[76] და GRECO-ს[77] შეფასების ანგარიშებში არაერთ ნორმატიულ პრობლემაზეა გამახვილებული ყურადღება.

[74] https://reginfo.ge/politics/item/10009-saqartveloshi-elitur-korupziastan-brwola-kvlav-gamoxvevad-rcheba-%E2%80%93-idfi ბოლოს გამოხმობილია 17.06.2019

[75] http://justice.gov.ge/Ministry/Index/365 ბოლოს გამოხმილია 17.06.2019

[76] https://www.oecd.org/ ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

[77] https://www.coe.int/en/web/greco ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს კორუფციის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების არსებობას, განსაკუთრებით სუსტია კონტროლის მექანიზმები.

OECD-ს მიერ შემუშავებული ანგარიშის მე-5 რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აქტებს, მათ შორის: ევროპის საბჭოს კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას, კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციებში უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა მექრთამეობის წინააღმდეგ“ კონვენციის დებულებებს. აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებს დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სახის დარღვევების არსებული სისტემის გადახედვას, სისხლის სამართლის კოდექსსა და მასთან დაკავშირებულ აქტებს შორის არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ასევე მექრთამეობისა და სხვა კორუფციული მოქმედებების კრიმინალიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, იურიდიული პირების პასუხისმგებლობის შემოღებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

OECD-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გარდა, ასევე ანტიკორუფციული კანონმდებლობის დახვეწას ეხება GRECO-ს მეორე შეფასებითი რაუნდის შედეგად შემუშავებული დამატებითი რეკომენდაციები და თავად საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა.

OECD-ის რეკომენდაცია № 6 საუბრობს აქტიური და პასიური მექრთამეობის კრიმინალიზაციის შემოღების შესახებ სისხლის სამართალის კოდექსში. პასიური მექრთამეობის კლასიკური მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლი ქრთამის მიცემა. რეკომენდაცია მითითებებს იძლევა აქტიური მექრთამეობის სასჯელის გაზრდასა და კორუფციული ქმედებების შეზღუდვის კუთხით.[78]

საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროპის საბჭოს „სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე“, მექრთამეობის სახეებს შორის გამოყოფს აქტიურ და პასიურ მექრთამეობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2006 წლის 25 ივლისის ცვლილებამდე თავისი არსით მხოლოდ აქტიურ მექრთამეობას განიხილავდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად. რაც შეეხება პასიურ მექრთამეობას, აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად პირდაპირ არ იყო

---

[78] *საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2008წ.)*

გათვალისწინებული, შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი მოაზრება სსიკ-ს მე-19 მუხლით განსაზღვრული „დანაშაულის მცდელობის“ ქვეშ. ამრიგად, პასიური მექრთამეობა სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ არ იყო განსაზღვრული როგორც დასჯადი ქმედება.

2006 წლის 25 ივლისის ცვლილებებით შეიცვალა მექრთამეობასთან დაკავშირებული მუხლები და სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან, დანაშაულად იქნა მიჩნეული როგორც აქტიური, ისე პასიური მექრთამეობა.[79]

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) შეფასებით, საქართველოში ელიტურ კორუფციასთან ბრძოლა კვლავ გამოწვევად რჩება, კორუფციასთან მებრძოლ არსებულ უწყებებში კი მათი დამოუკიდებლობის საკითხია ყველაზე პრობლემური.

IDFI-ის განცხადებით, ბოლო წლებში, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, სადაც შესაძლო კორუფციის შემთხვევები დამატებით გამოკვლევას საჭიროებდა, თუმცა, მათ ან არ მოჰყოლია შედეგი ან არ მოხდა საზოგადოების ჯეროვნად ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის ან შედეგების შესახებ, რამაც სამართალდამცავი და საგამოძიებო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა შეარყია. ორგანიზაციის განცხადებით, ეს ფაქტები მოიცავენ როგორც შესაძლო კორუფციის, ისე თანამდებობის ბოროტად გამოყენების და სამოხელეო დანაშაულის სხვა შემთხვევებს.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ შემთხვევად, რომელიც შესაძლო სამოხელეო დანაშაულზე მიუთითებს, IDFI „ომეგა ჯგუფის“ საქმეს და მასთან დაკავშირებით გავრცელებულ ფარული ჩანაწერების ასახელებს. ჩანაწერების მიხედვით, შესაძლო სამოხელეო დანაშაულის შემცველ ეპიზოდებში სპორტის ყოფილი მინისტრი და ყოფილი მთავარი პროკურორი მონაწილეობენ.

ორგანიზაციის განცხადებით, საქართველოში ე.წ. „ელიტური კორუფციის“ როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევის არსებობას ადასტურებს ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, როგორიცაა ევროპარლამენტი და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

[79] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; *კანონმდებლობა და კორუფციის კრიმინალიზაცია, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.* თბილისი, 2006 წელი. http://www.nplg.gov.ge/eng/home ბოლოს გამოხმობილია 06/06/2019

ევროპარლამენტი საქართველოს უწევს რეკომენდაცას ჩამოაყალიბოს ანტიკორუფციული სამსახური დამოუკიდებელ უწყებად.

IDFI-ის განცხადებით, კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია საქართველოში სხვადასხვა საჯარო უწყებაზეა გადანაწილებული, რომელთა უფლებამოსილებები და საქმიანობის სფეროები ხშირად არ არის მკაფიოდ გამიჯნული და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არცერთი უწყების მთავარ საქმიანობას არ წარმოადგენს. მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) სტრუქტურაში ანტიკორუფციული სააგენტოს არსებობა შეუთავსებელია უწყების საქმიანობის საიდუმლო ბუნებასთან და ქმნის უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოქცევის რისკს. [80]

დასკვნა

ნაშრომში განხილულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თემა აქტუალურია და მოიცავს საკმაოდ ფართო პირთა წრეს, როგორც ამსრულებლის, ისე დაზარალებულის კუთხით. სამოხელეო დანაშაული ხასიათდება განსაკუთრებული საშიშროებით. მისი ჩამდენი პირის მიმართ ჩნდება უნდობლობა, განსაკუთრებით მძრაფრია საჯარო მოხელის ან/და მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაული. მოსახლეობას უკარგავს ნდობას კონკრეტული სამსახურისა თუ ორგანიზაციის მიმართ. კვლევებმა ნათელი გახადა, რომ საქართველოს მსგავსი ეკონომიკური და პოლიტიკური დონის მქონე ქვეყნისათვის ხშირია ცდუნება იდგეს სამოხელეო დანაშულის საფრთხის წინაშე. საინტერესოა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კორუფცია და ნეპოტიზმი არის წინაპირობა სამოხელეო დანაშაულთათვის. თემის აქტუალობა და სიმწვავე განსაკუთრებით საინტერესოს ხდის კვლევას და მის სიღრმისეულ შესწავლას. ნაშრომშ საუბარი იყო 2007 წელს ჩატარებულ კვლევაზე, რომლის 45 მონაწილე აღწერდა თავიანთ გამოცდილებაში არსებულ თეთრსაყელოიანთა დანაშაულთან დაკავშირებულ ტენდენციებს. გამოვლინდა 4 ძირითადი ტენდენცია:

[80] https://reginfo.ge/politics/item/10009-saqartveloshi-elitur-korupziastan-brwola-kvlav-gamoxvevad-rcheba-%E2%80%93-idfi ბოლოს გამოხმობილია 17.06.2019

24 % აღნიშნავდა, რომ თეთრსაყელოიანთა კორპორატიულ დანაშაულს აქვს გაზრდის ტენდენცია. 11.1%მა დააკონკრეტა, რომ გაზრდის/გავრცელების ტენდენცია აქვს ბიზნესთან დაკავშირებულ კრიმინალს.

შემდეგ ტენდენციად მონაწილეები (პროკურორები) ასახელებდნენ თეთრსაყელოიანთა დანაშაულის გამოძიების კომპლექსურობას/სირთულეს. ამიტომ სახელმწიფო აფინანსებს პროკურორების გადამზადების პროექტს. რათა მოხდეს გამოძიების ახალი მეთოდების სწავლება და დანერგვა.

კვლევაში გამოვლენილი მესამე ტენდენცია ეხება თეთრსაყელოიან დამნაშავეთა გამოძიების პროცესს. მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ თეთრსაყელოიანთა დანაშაულის გამოძიების პროცესი კომპლექსურია და მოითხოვს რამდენი ორგანიზაციის, სამსახურის ჩართულობას, ერთობლივ მუშაობას. ამგვარი სამსახურებია: პოლიცია, ფინანსური გამოძიების სამსახურები, იუსტიციის დეპარტამენტი, პროკურატურა. მესამე ტენდენცია ეხება სწორედ აღნიშნული სამსახურების მუშაობას. მონაწილეების თქმით, ჩვეულებრივ, რთულია და ხშირ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი, აღნიშნული დეპარდამენტების ერთობლივი მუშაობა. რაც, ბუნებრივია, ართულებს თეთრსაყელოიანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

მეოთხე ტენდენციის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეების აზრით გამოძიების პროცესში რესურსები მიმართულია უფრო მეტად, კრიმინალური დანაშაულის გამოძიებისკენ, ვიდრე ფინანსური დანაშაულის გამოძიებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.[81]

[81] http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html ბოლოს გამოხმობილია 11.06.2019

ბიბლიოგრაფია:

1.The Psychology of Fraud: What Motivates Fraudsters to Commit Crime? Kelly Fisher This paper is submitted in partial fulfillment of the requirements for BUS 5903.70 Forensic Accounting Texas Woman's University Graduate School of Management Dr. John Nugent, LLM, CPA, CFE, CISM, FCPA Spring 2015;

2.Sutherland, Edwin. H., American Sociological Review 5 (1940), S. 1 (9)

3.შეად. *Waßmer, Martin Paul*, in: Graf/Jäger/Wittig (Hrsg.),Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2. Aufl. 2017, § 266 StGB
Rn. 4

4.Fisher, K. *The Psychology of Fraud: what motivates Fraudsters to commit crime?* Texas woman's university. 2015
https://en.wikipedia.org/wiki/Edwin_Sutherland ბოლოს გამოხმობილია 10.05.2019

5.Burgess, Robert & Akers, Ronald L. (1966). "A Differential Association-Reinforcement Theory of Criminal Behavior." Social Problems, 14: p. 363-383.

6.Pamela H. Bucy Elizabeth P. Formby Marc S. Raspanti Kathryn E. Rooney :"Why Do Thy Do It?: Th Motives, Mores, and Character of White Collar Criminals" 2012

7.The Psychology of Fraud: What Motivates Fraudsters to Commit Crime? Kelly Fisher This paper is submitted in partial fulfillment of the requirements for BUS 5903.70 Forensic Accounting Texas Woman's University Graduate School of Management Dr. John Nugent, LLM, CPA, CFE, CISM, FCPA Spring 2015

8.დალბერგ, ე. ლ. (2008). ენციკლოპედიური ლექსიკონი. საქართველო: national parliamentary library of georgia. http://www.nplg.gov.ge/eng/home ბოლოს გამოხმობილია 06/06/2019

9.იაკობიშვილი, მ. თეთრსაყელოიანთა დანაშაული.2015 წ; *intermedia.ge*. ბოლოს გამოხმობილია 30.04.2019

10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი .2018 წლის მდგომარეობით

11.ზოგადი მიმოხილვა *Wittig, Petra*, Wirtschaftsstrafrecht, 3.Aufl. 2014, § 2 Rn. 12 ff. m.w.N.
ეკონომუკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტის გამოცემა, გვ.2

12.ეკონომუკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტის გამოცემა, გვ.3

13.Carson, T. (2007). *Business Ethics Quarterly, 17*(2), 365-365. Retrieved from http://www.jstor.org/stable/27673179 ბოლოს გამოხმობილია 26.05.2019

14.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი; საქმე N 1/2403-17

15.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32.

16.ქუთაისი სააპელაციო სასამართლოს 27.07.2010 წლის განაჩენი.

17.„ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ ; გზამკვლევი მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს
მთავრობის UK aid-ის და დანიის მთავრობის

მხარდაჭერით.http://www.library.court.ge/upload/889897%20interesta.pdf ბოლოს გამოხმობილია
06/06/2019
https://www.oecd.org/ ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

18.https://criminology.fandom.com/wiki/Differential_Association_Theory ბოლოს გამოხმობილია 10.05.2019

19.https://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199225804.001.0001/acprof-9780199225804 ბოლოს გამოხმობილია 19.05.2019

20.https://www.coe.int/en/web/greco ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

21.საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2008წ.)

22.საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; *კანონმდებლობა და კორუფციის კრიმინალიზაცია, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.* თბილისი, 2006 წელი. http://www.nplg.gov.ge/eng/home ბოლოს გამოხმობილია 06/06/2019

23.საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2008წ.)

24.http://tcc.gov.ge/

25.http://www.tbappeal.court.ge/

26.http://www.supremecourt.ge/eng/

27.https://www.fbi.gov/investigate/white-collar-crime

28.https://www.interpressnews.ge/ka/article/539779-saxalxo-damcveli-xoravas-kuchis-sakmeshi-saxeze-iqo-samoxeleo-danashauli-samsaxurebrivi-gulgriloba-an-samsaxurebrivi-uplebamosilebis-borotad-gamoqeneba/

https://police.ge/files/ევროპის%20საბჭოს%20კონვენციები/ქართულად/3.%20სისხლის%20სამართლის%20კონვენცია%20კორუფციაზე.

29. https://onlinelibrary.wiley.com

30. http://investigativepsychology.blogspot.com/2016/04/blog-post_15.html

31. http://library.court.ge/

32. http://justice.gov.ge/Ministry/Index/365 ბოლოს გამოხმილია 17.06.2019

33.https://www.oecd.org/ ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

34.https://www.coe.int/en/web/greco ბოლოს გამოხმობილია 05.06.2019

35. http://parliament.ge/ge/ ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

36.**სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი**; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4&d=HASH01419ae995c3da5136352433&gt=2 ბოლოს გამოხმობილია 11.06.2019

37.https://www.legalmatch.com/law-library/article/what-is-blue-collar-crime.html ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

38. ი. დვალიძე, მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის დოქტრინაში, 2007 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი,საქმე №1/3137-14

39.http://www.ambioni.ge/ ბოლოს გამოხმობილი 14.06.2019

40.http://www.tabula.ge/ge/story/136240-levan-ramishvili-tavisuflebis-chiraghdani-da-amerikuli-eqsperimenti ბოლოს გამოხმობილია 12.06.2019

41.https://www.legalmatch.com/law-library/article/what-is-blue-collar-crime.html ბოლოს გამოხმობილია 14.06.2019

42. https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=208 ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

43. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2019 წლის მდგომარეობით 5 ივნისის მდგომარეობით

44. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 2019 წლის 5 მაისის მდგომარეობით

45. https://echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019

46.http://freeuni.edu.ge/sites/default/files/samsaxurebrivi%20uflebamosilebis%20borotad%20gamokeneba.pdf ბოლოს გამოხმობილია 19.06.2019